წელიწადი მეთოთხმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ბსპ. კ. პ. (ბ) ცენტრ. და თბ. პროფიციტების და საკ. საკის ორგანო

ტელეფონები №№: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—26—17, სამდივნოს—10—58, მო. კონტორის—8—81.

პარასკევი, 15 იანვარი 1932 წ. №13 (3267)

საქართველოს გოლშევიკების მეთაური რაზმის თბილისის პარტორგანიზაციის XIV კონფერენციას მხურვალე ბოლშევიკური სალამი

თბილისის გოლშევიკების კონფერენცია

დღეს იხსნება თბილისის მე-14 საქალაქო პარტიული კონფერენცია. თბილისის ბოლშევიკები, რკინისებური რიგებით, პარტიის გენერალური ხაზის ორგვლივ მტკიცედ დარაზმულნი, ხვდებიან მორიგ პარტკონფერენციას.

მიუხედავად ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ მთელ რიგ უხეშ პოლიტიკურ შეცდომებისა, თბილისის პარტორგანიზაციამ მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვა სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. ეს მიღწევები განსაკუთრებით აღსანიშნავია მრეწველობის დარგში. ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელში თბილისის მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 55,5 პროცენტით, 1930 წელთან შედარებით. მრეწველობის მთელმა რიგმა დარგებმა ხუთწლიანი გეგმა სამ წელში გადაჭარბებით შეასრულეს. მაგ. ხუთწლიანი გეგმა 3 წელში გადაჭარბებითაა შესრულებული ლითონის მრეწველობის ხაზით („26 კომუნარის", ორჯონიკიძის, კალინინის სახელობის და სპილენძის სატკეცი ქარხნები). მსუბუქი მრეწველობის დარგში ხუთწლიანი გეგმა გადაჭარბებით შესრულეს სამკერვალო, ფეხსაცმელების, ტყავის მრეწველობამ, მაუდის ქარხანამ და ქჩის წარმოებამ. ასე მაგალითად ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის სამკერვალო ქარხნებს უნდა გამოეშვათ 33.500.000 მანეთის პროდუქცია, სამდეცემად ფასულ წელს გამოშვებულია 40 მილიონი მანეთის პროდუქცია. ფეხსაცმელების ფაბრიკებს ხუთწლედის ბოლოსათვის უნდა დაემზადებიათ 750.000 წყვილი ფეხსაცმელი, 1931 წელს კი დამზადეს 1 მილიონ 200 ათასი წყვილი.

თბილისის ლითონტრესტის ქარხნები დაეუფლენ მოწინავე ტექნიკას და ისინი ამზადებენ ჩაისა და აბრეშუმის მრეწველობისათვის ისეთ მანქანებს, რომლებიც დღემდე უცხოეთიდან შემოგვქონდა.

გაიზარდა ხუთწლედის გადამწყვეტ წელიწადში თბილისის მუშების რიცხვი. გადიდდა მუშათა ხელფასი (აბრეშუმის მრეწველობაში 15 პროც., პოლიგრაფიულ წარმოებაში 18 პროცენტით. მაისის ფაბრიკაში 20,5 პროცენტით და სხვ.), სოციალური დაზღვევის ხარჯები (რკინის გზის და წყლის ტრანსპორტის გამოკლებით) გაიზარდა 21 მილიონი მანეთით. საქ. ს.მ.ო.ს. გამგებლობაში მყოფ მრეწველობის მუშათა 91.5 პროც. ჩაბმულია სოციალისტებრებაში, შენდნილია 366 დამკვრელი ბრიგადა და სხვ.

თბილისის მე-14 პარტკონფერენცია შეაჯამებს ამ მიღწევებს და ამავე დროს დასახავს კონკრეტულ ღონისძიებებს ხუთწლედის უკანასკნელი წლის გეგმების შესრულებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მრეწველობის მნიშვნელოვანი ზრდისა თბილისში, ხუთწლედის მესამე წლის გეგმა მთლიანად მაინც არაა შესრულებული. თბილისის მრეწველობას გასული წელს უნდა გამოეშვა 120 მილიონი მანეთის პროდუქცია, გამოუშვიდა კი ნამდვილად 101 მილიონი 67 ათასი მანეთის, ე. ი. გეგმა შესრულებულია 84 პროცენტით. თვითთირიმლობილება ნაკლებად გეგმით გათვალისწინებულ 8.1 პროც.-ით შეჭრილა 5.8 პროც.-ით. არაა შესრულებული გეგმა შრომის ნაყოფიერების ზრდის, ხარისხის გაუმჯობესების და სხვა მხრივაც.

ყოველივე ეს უნდა აიხსნას იმ უყურადღებობით, რომელსაც ძველი პარტიული ხელმძღვანელობა იჩენდა მრეწველობის მუშაობისადმი ამხ. სტალინის 6 მითითების არა სრული განხორციელებით და შრომის სოციალისტური ფორმების არა საკმაო გაშლით.

თბილისის პარტკონფერენციამ ამიტომ მთელი პარტორგანიზაციის ყურადღების ცენტრში უნდა მოაქციოს მრეწველობის რაციონალიზაციის და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების ამოცანა. ამისათვის საჭიროა ნამდვილად ბოლშევიკურ ბრძოლას გაშლა ძველი პარტიული ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ უხეშ პოლიტიკურ შეცდომების სასწრაფო და რადიკალური გამოსწორებისათვის. თბილისის პარტორგანიზაციამ ამ შეცდომების გამოსწორებაში გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს.

თბილისის პარტორგანიზაციამ ამხ. სტალინის წერილის, „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთ საკითხებზე" — გარშემო ნამდვილი ბოლშევიკური ბრძოლა გაშალა კონტრრევოლიუციონურ ტროცკისტულ კონტრაბანდისტების და დამპალი ლიბერალიზმის მატარებელთა გამოსამჟღავნებლად. ამხ. სტალინის წერილის დამუშავებამ გააძხეერა პარტიული ორგანიზაციის ყურადღება მარქსიზმ - ლენინიზმის თეორიის სიწმინდისადმი და კიდევ უფრო დაარაზმა პარტიული და უპარტიო მუშათა მასები პარტიის გენერალური ხაზის ირგვლივ.

თბილისის პარტორგანიზაცია. მთელ ამიერ - კავკასიაში ბაქოს ბოლშევიკებთან ერთად პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მედროშეა. მან გადამწყვეტი როლი ითამაშა ამიერ - კავკასიის ფედერაციის შექმნის და განმტკიცების საქმეში. ძველმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ დაუშვა შეცდომები ნაციონალურ საკითხში, რაც გამოიხატა ნაციონალურ რესპუბლიკების გაუპიროვნებაში, რესპუბლიკების სამეურნეო ინიციატივის შეკავებაში და ა.შ. ფედერაციის სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების არა სწორ გაგებაში. ძველი ხელმძღვანელობის ეს შეცდომები ბოლშევიკურად სწორდება; მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვათ ა.-კ. ფედერაციის სამეურნეო - პოლიტიკური ძლიერების შესუსტება, როგორც ეს სწადიათ ნაციონალ-უკლონიზმის ნამსხვრევებს. თბილისის პარტორგანიზაციამ სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს ყოველგვარ ასეთ ცდებს და საკ. კ.-პ. (ბ) 31 ოქტომბრის დადგენილების განხორციელებით ხელი შეუწყოს ამიერ - კავკასიის ფედერაციის შემდგომ გაძლიერებას, მის ნამდვილ სამეურნეო - პოლიტიკურ განმტკიცებას.

თბილისის ბოლშევიკები მე-14 კონფერენციის დადგენილებათა მიხედვით კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან ახალი ხელმძღვანელობის ირგვლივ და გააძლიერებენ ბრძოლას კონტრ - რევოლიუციონურ ტროცკიზმის, დამპალი ლიბერალიზმის, მემარჯვენე გადახრის, თანამედროვე ეტაპზე როგორც მთავარი საფრთხის, „მემარცხენე" ნახტომების, დიდმპყრობელური შოვინიზმის, ადგილობრივი ნაციონალიზმის და მათდამი შემარიგებლობის წინააღმდეგ, — ხუთწლიანის გეგმის ოთხ წელში შესრულებისათვის, საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის ისტორიული დადგენილების ბოლშევიკურად განხორციელებისათვის.

მზურვალე სალამი თბილისის მე-14 პარტკონფერენციას.

ბაქოს მე-XX პარტკონფერენციის მისალმებები

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს

ბაქო, 13 იანვარი. ბაქოს პარტკონფერენცია მხურვალე სალამს უგზავნის საკ. კ.პ. (ბ) ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს ამხ. სტალინის მეთაურობით. პარტკონფერენციის კომპარტია (ბ), რომელმაც საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით დიდ წარმატებებს მიაღწია პარტიის გენერალურ ხაზისთვის ბრძოლაში, მთლიანად შემდიდრებული რიგებით მიდის მე-17 საკავშირო პარტკონფერენციაზე.

ბაქოს ორგანიზაციის მიერ ამ ბრძოლაში მიღწეული წარმატებები გამოხატავენ ჩვენი პარტიის უდიდეს გამარჯვებებს გლეხობის ფართო მასების გენერალურ ხაზისთვის ბრძოლაში, მთლიანად ბოლშევიკურად შესრულებისათვის, მტკიცედ ანმორცილებს შენს მითითებებს, აძლიერებს თავის რიგებში კლასობრივ სიფხიზლეს, აძლიერებს ცეცხლს ოპორტუნიზმისა და დამპალი ლიბერალიზმის წინააღმდეგ.

ბაქოს ორგანიზაცია სიტყვას გაძლევს, რომ შემდგომ ბრძოლაში და მუშაობაში მაგრად დაიჭერს ხელში მებრძოლი ლენინური გალახრების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის დროშას.

ბაქოს ბოლშევიკებო, ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის, აზერბეიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმებით მთელს პარტიასთან ერთად საკ. კ.პ. (ბ) ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ბოლშევიკურად განახორციელებენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ამიერ-კავკასის სამხარეო კომიტეტის მიერ მის წინაშე დასახულ ამოცანებს, უზრუნველყოფენ ბრძოლას ამხ. სტალინის 6 ისტორიული მითითების რეალიზაციისათვის, გამოპარტიის ერთიანი რიგებს და ახალ გამარჯვებებს მოაღწევენ სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგებში.

გაუმარჯოს ლენინის პარტიას!

გაუმარჯოს გენერალურ შტაბს—საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც საბჭოთა კავშირი მიმყავს მოიფლთო ოქტომბრის გამარჯვებისაკენ (ალს).

ამხ. სტალინს

ბაქო, 13 იანვარი. ძვირფასო ამხანაგო ქობა! ბაქოს მე-20 პარტკონფერენცია მხურვალე, ბოლშევიკურ სალამს გიგზავნის შენ, პარტიის ბელადს, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის და საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადს.

პარტიის გენერალური ხაზისთვის ბრძოლაში ბაქოს ბოლშევიკები მთელს პარტიასთან ერთად შემჭიდროებული რიგებით მიდიან სოციალიზმის ახალ გამარჯვებებისაკენ. ბაქოს ორგანიზაცია იბრძვის საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ მის წინაშე დასახული ამოცანების ბოლშევიკურად შესრულებისათვის, მტკიცედ ანხორციელებს შენს მითითებებს, აძლიერებს თავის რიგებში კლასობრივ სიფხიზლეს, აძლიერებს ცეცხლს ოპორტუნიზმისა და დამპალი ლიბერალიზმის წინააღმდეგ.

ბაქოს ორგანიზაცია სიტყვას გაძლევს, რომ შემდგომ ბრძოლაში და მუშაობაში მაგრად დაიჭერს ხელში მებრძოლი ლენინური გალახრების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის დროშას, მტკიცედ მიმყვება შენს მაგალითს პარტიის ისტორიის ბოლშევიზმის დაცვის და პარტიის გენერალური ხაზისადმი ერთგულების ბოლშევიკური საქმეში.

ბაქოს ბოლშევიკებო, ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის, აზერბეიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის და ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმებით მთელს პარტიასთან ერთად საკ. კ.პ. (ბ) ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ბოლშევიკურად განახორციელებენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ამიერ-კავკასის სამხარეო კომიტეტის მიერ მის წინაშე დასახულ ამოცანებს, უზრუნველყოფენ ბრძოლას ამხ. სტალინის 6 ისტორიული მითითების რეალიზაციისათვის, გამოპარტიის ერთიან რიგებს და ახალ გამარჯვებებს მოაღწევენ სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგებში.

გაუმარჯოს ლენინის პარტიას!

გაუმარჯოს გენერალურ შტაბს—საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც საბჭოთა კავშირი მიმყავს მოიფლთო ოქტომბრის გამარჯვებისაკენ (ალს).

ამხ. სტალინს

ბაქო, 13 იანვარი. ძვირფასო ამხანაგო ქობა! ბაქოს მე-20 პარტკონფერენცია მხურვალე, ბოლშევიკურ სალამს გიგზავნის შენ, პარტიის ბელადს, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის და საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადს.

პარტიის გენერალური ხაზისთვის ბრძოლაში ბაქოს ბოლშევიკები მთელს პარტიასთან ერთად შემჭიდროებული რიგებით მიდიან სოციალიზმის ახალ გამარჯვებებისაკენ. ბაქოს ორგანიზაცია იბრძვის საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ მის წინაშე დასახული ამოცანების ბოლშევიკურად შესრულებისათვის, მტკიცედ ანხორციელებს შენს მითითებებს, აძლიერებს თავის რიგებში კლასობრივ სიფხიზლეს, აძლიერებს ცეცხლს ოპორტუნიზმისა და დამპალი ლიბერალიზმის წინააღმდეგ.

ბაქოს ორგანიზაცია სიტყვას გაძლევს, რომ შემდგომ ბრძოლაში და მუშაობაში მაგრად დაიჭერს ხელში მებრძოლი ლენინური გალახრების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის წარმოებაში.

ბაქოს ბოლშევიკებო, ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის, აზერბეიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის და ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმებით მთელს პარტიასთან ერთად საკ. კ.პ. (ბ) ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო და გაამაძევრებენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ მის წინაშე დასახული ამოცანების, უზრუნველყოფენ ბრძოლას ამხ. სტალინის 6 ისტორიული მითითების რეალიზაციისათვის, გამოპარტიის ერთიან რიგებს და ახალ გამარჯვებებს მოაღწევენ სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგებში.

გაუმარჯოს ლენინის პარტიას!

გაუმარჯოს გენერალურ შტაბს—საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც საბჭოთა კავშირი მიმყავს მოიფლთო ოქტომბრის გამარჯვებისაკენ (ალს).

„ამხ. სტალინის წერილი და იდეოლოგიური ფრონტი საქართველოში"

თბილისის პარტაქტივის რეზოლუცია

თბილისის პარტაქტივი, რომელმაც მარცხენე" ოპორტუნიზმის და მათთან მოისმინა და განიხილა მოხსენება ამხ. სტალინის წერილისა და იდეოლოგიურ ფრონტზე საქართველოში, ხაზს უსვამს ამხ. სტალინის წერილის —„ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხების შესახებ" მსოფლიო ისტორიულ მნიშვნელობას. ამხ. სტალინმა გამოამჟღავნა რა იმ ხლეკვაციების, ვოლოხევიჩების და სხვ. ტროცკისტული კონტრაბანდა, რომლებიც ლიუქსემბურგიანობის იდეალიზაციის ნიღაბ ქვეშ იმეორებდნენ ტროცკისტურ ცილისწამებას ბოლშევიზმის «ხელახალი შეიარაღების» და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობის შესახებ, ყურანელ „პროლეტარსკაია რევოლიუციისათვის" გაგზავნილ წერილში ხელახლა რაზმავს მთელი პარტიის ყურადღებას ტროცკიზმის— კონტრრევოლიუციონური ბურჟუაზიის ამ მოწინავე რაზმის ახალი მანევრების წინააღმდეგ.

ამხ. სტალინის წერილი პარტიული ორგანიზაციების წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ კიდევ უფრო მეტ პრინციპიალურ სიმაღლეზე იქნას აყვანილი პარტიის ისტორიის საკითხების შესწავლა და გაღრმავირებულ იქნას ბოლშევიკური პარტიულობისა და მარქსისტული ლენინური თეორიის სიწმინდისათვის.

თბილისის ორგანიზაციის პარტაქტივი აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელ დრომდე სრულიად არა დამაკმაყოფილებლად სწარმოებს ბრძოლა ჯგვანისწვილის და მენშევიკური ისტორიკოსების — სეით დევდარიანის და გიორგაძის შოვინისტური შეხედულებათა წინააღმდეგ, რომლებიც უკანასკნელი წლების განმავლობაში თავიანთ სტატეიერ და წერილობით გამოსვლების დროს მთელ ფორმაში იცავდნენ აშკარა მენშევიკურ შეხედულებებს, რომლებიც ასევე ერთ-ერთ ძირითად ამოცანად. მობილიზებულ უნდა იქნას კოლმეურნე მასების აქტივობა და ყურადღება ჩაის ნიადაგის მომზადების და თესვის მაღალი ტემპებისათვის საბრძოლველად, ბაზის და თამბაქოს საგაზაფხულო თესვის გეგმის შესრულებისათვის საბრძოლველად და საგაზაფხულო ნათესების და შემოდგომაზე დათესვისათვის საბრძოლველად, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საკოლმეურნეო წარმოების ხარისხს, საკოლმეურნეო ნათესების მთლიანობის და სარძეო-სახაკოლმეო ფერმების წესების და სხვ., გადიდებისათვის საჭირო ღონისძიებათა დაშუშავებას და განხორციელებას. შემოწმებული უნდა იქნას თუ რამდენად არის მომზადებული თითეული კოლმეურნეობა მეცხოველეობის ფერმების შენების გეგმების შესრულებისათვის და რამდენად არიან ისინი უზრუნველყოფილი საკვები რესურსებით.

4. მომავალ საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის დროს უნდა მივაღწიოთ პარტიული თანამშრომის გადაწყვეტილებათა განხორციელებას კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის საკითხებზე. კოლმეურნეთა საერთო კრებებზე განხილულ იქნას კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის საკითხები, სანარდო ხისტემის სწორად გატარების საკითხები და საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის პერიოდში მიეცეს თვითეულ კოლმეურნეს შრომის წიგნაკები.

5. საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრმა და დარგობრივმა გაერთიანებებმა, რაიკოლმეურნეკავშირებმა, პარტიის საოლქო და რაიონულმა კომიტეტებმა ც. კ.-ისან მიმაგრებულ ამხანაგებთან ერთად, შეამოწმონ თვითეულ კოლმეურნეობაში 1931 წლის მოსავლის და შემოსავლის განაწილება და ოპერატიული ხელმძღვანელობის წესით აღმოფხვრან ამ საქმეში არსებული გადახრები.

6. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ხელმძღვანელ ორგანოებიდან განმტკიცებას მუშაკების მომზადებული და ენერგიული კადრებით, ფართოდ იქნან დაწინაურებული კოლმეურნეობათა ხელმძღვანელ ორგანოებში დამკვრელები, შემოწმებული და ნიჭიერი მუშაკები ყოფ. მოჯამაგირეებიდან, ღარიბ და საშუალო გლეხებიდან. საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის პერიოდში კოლმეურნეობები, განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელი ორგანოები უნდა გაწვრთნილ იქნან კლასობრივად უცხო ელემენტებისაგან.

7. საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიის პერიოდში მიღწეული იქნას გარდატეხა ღარიბ და მოჯამაგირეთა შორის მუშაობაში, ღარიბები იქნენ ღარიბთა ჯგუფები სოციალის არჩევით ორგანოებთან და გადამჭრელი წინააღმდეგობა გაეწიოს კულაკურ-შეძლებულ და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტებს, რომლებიც შეეცდებიან საანგარიშო-საგადარჩევო კამპანია გამოიყენონ ანტი-საბჭოთა და ანტი საკოლმეურნეო მუშაობის გაძლიერების მიზნით.

8. კომპარტიისა და კომკავშირის საოლქო და რაიონულმა კომიტეტებმა და ყველა უჯრედებმა განიხილონ საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის საკითხები და დასაწონ კონკრეტული ღონისძიებები მის წარმატებით ჩასატარებლად, ჩაებან ამ საქმეში სოფლის ყველა საბჭოთა, კოოპერატიული და სხვა ორგანოები.

9. ცეკა წინადადებას იძლევა საწარმოო საფინანსო გეგმების, გაზაფხულის სახოლო - სამეურნეო კამპანიის სამუშაო პროგრამების, წლიური გეგმების შედგენა და კოლმეურნეობათა საანგარიშო - საარჩევნო კამპანიის ჩატარება დაიწყოს არა უგვიანეს 18 იანვრისა და დამთავრდეს 1932 წლის 25 თებერვლისათვის.

რაიონებში, რომელებსაც, ემსახურებიან სამანქანო - სატრაქტორო სადგურები, საწარმოო გეგმების და წლიური ანგარიშების შედგენა კოლმეურნეობებში დაეკისროს საქ. ტრაქტორკენტრის სისტემას.

10. ამ კამპანიის ჩასატარებლად წინადადება მიეცეს საქართველოს მიწაწყობს და შრომის კომისარიატს, საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად, 5 დღის ვადაში მოახდინონ თბილისში აგრონომების, ბუღალტერების, მოანგარიშეების და სახ. - სამ. ინსტატუტების მესამე კურსის სტუდენტების მობილიზაცია.

საქ. კოლმეურნეობათა ცენტრმა მიხცეს ინსტრუქტაჟი ყველა მობილიზებულებს. პარტიის რაიკომებმა საანგარიშო - საარჩევნო კამპანიის პერიოდში კოლმეურნეობებში გადაისროლონ მთელი რაიონული აქტივი და დამატებით მოახდინონ ადგილებზე აგრონომებისა და საანგარიშო დარგის მუშაკთა საერო რაოდენობის მობილიზაცია.

11. ცეკას კადრების განაწილებამ ხუთი დღის ვადაში მოახდინოს 60 პასუხისმგებელი მუშაკის მობილიზაცია და მიამაგროს ისინი რაიონებზე კოლმეურნეობათა საანგარიშო - საარჩევნო პერიოდის განმავლობაში.

12. საქართველოს სახკომსაბჭომ გამოარკვიოს წუარო მიღებულ აგრონომების, ბუღალტერების, მოანგარიშეების, სტუდენტთა და სხვ. ხარჯების დასაფარავად.

13. საქ. კოლმეურნეობათა ცენტრმა შეადგინოს კალენდარული გეგმა კოლმეურნეობების საოლქო და რაიონული ყრილობების ჩატარებისა ამ ანგარიშით, რომ ისინი დაიწყოს 25 თებერვალს და დამთავრდეს 5 მარტამდე.

14. ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთების რედაქციებმა ფართოდ გააშუქონ კოლმეურნეობათა საანგარიშო - საარჩევნო კამპანიის მდგომარეობა.

15. 1932 წ. თებერვლის პირველ ნახევარში ცენტრ. კომიტეტში მოსმენილ იქნას მოხსენებები კოლმეურნეობათა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ.

პოლმეურნეობათა საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის ჩატარების და საწ.-საფ. გეგმების შედგენის შესახებ

(საქართველოს კ. პ. (ბ) ც, კ-ის 1932 წლის 14 იანვრის დადგენილება)

კოლმეურნეობათა საორგანიზაციო სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობათა საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის სწორად გატარებას და კოლმეურნეობათა 1932 წლის საწარმოო საფინანსო გეგმების და საგაზაფხულო საოლქო-სამეურნეო გეგმების შედგენას.

მომავალ საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის ორი ძირითადი ამოცანაა: მობილიზებულ უნდა იქნას პარტიული, კომკავშირული, საბჭოთა, საკოლმეურნეო, კოოპერატიული და სხვ. ორგანიზაციების მთელი ძალები და ყურადღება იმ ღონისძიებათა ნამდვილად გატარებისათვის, რომლებიც დასახულია რესპუბლიკური პარტიათათბირის მიერ არსებულ კოლმეურნეობათა საორგანიზაციო-სამეურნეო და პოლიტიკურ განმტკიცებას.

2. მომავალ საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს კოლმეურნეობათა საწარმოო-საფინანსო და სამუშაო გეგმების სწორად შედგენა თვითეული კოლმეურნეობის თავისებურებასთან შეფარდებით. საჭიროა გულდასმით იქნას დამუშავებული საწარმოო-საფინანსო გეგმები, აღებულ იქნას ყურსი კოლმეურნეობათა სპეციალიზაციისაკენ და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ძირითად ხელმძღვანელ ტექნიკურ და სპეციალურ კულტურებს (ჩაი, ბამბა, თამბაქო, ყურძენი და სხვ.). მოეწყოს საწარმოო-საფინანსო და სამუშაო გეგმების განხილვა კოლმეურნეობათა საწარმოო თათბირებსა და საერთო კრებებზე ამ საქმეში როგორც აქტივის, ისე ყველა კოლმეურნეთა ფართოდ ჩაბმით.

3. 1932 წლის მესამე ბოლშევიკური საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის წარმატებით ჩატარების საკითხები უნდა გახდეს კოლმეურნეობათა საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად. მობილიზებულ უნდა იქნას კოლმეურნე მასების აქტივობა და ყურადღება ჩაის ნიადაგის მომზადების და თესვის მაღალი ტემპებისათვის საბრძოლველად, ბაზის და თამბაქოს საგაზაფხულო თესვის გეგმის შესრულებისათვის საბრძოლველად და საგაზაფხულო ნათესების და შემოდგომაზე დათესვისათვის საბრძოლველად, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საკოლმეურნეო წარმოების ხარისხს, საკოლმეურნეო ნათესების მთლიანობის და სარძეო-სახაკოლმეო ფერმების წესების და სხვ. გადიდებისათვის საჭირო ღონისძიებათა დაშუშავებას და განხორციელებას. შემოწმებული უნდა იქნას თუ რამდენად არის მომზადებული თითეული კოლმეურნეობა მეცხოველეობის ფერმების შენების გეგმების შესრულებისათვის და რამდენად არიან ისინი უზრუნველყოფილი საკვები რესურსებით.

4. მომავალ საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის დროს უნდა მივაღწიოთ პარტიული თანამშრომის გადაწყვეტილებათა განხორციელებას კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის საკითხებზე. კოლმეურნეთა საერთო კრებებზე განხილულ იქნას კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის საკითხები, სანარდო ხისტემის სწორად გატარების საკითხები და საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის პერიოდში მიეცეს თვითეულ კოლმეურნეს შრომის წიგნაკები.

5. საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრმა და დარგობრივმა გაერთიანებებმა, რაიკოლმეურნეკავშირებმა, პარტიის საოლქო და რაიონულმა კომიტეტებმა ც. კ.-ისან მიმაგრებულ ამხანაგებთან ერთად, შეამოწმონ თვითეულ კოლმეურნეობაში 1931 წლის მოსავლის და შემოსავლის განაწილება და ოპერატიული ხელმძღვანელობის წესით აღმოფხვრან ამ საქმეში არსებული გადახრები.

6. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ხელმძღვანელ ორგანოებიდან განმტკიცებას მუშაკების მომზადებული და ენერგიული კადრებით, ფართოდ იქნან დაწინაურებულნი კოლმეურნეობათა ხელმძღვანელ ორგანოებში დამკვრელები, შემოწმებული და ნიჭიერი მუშაკები ყოფ. მოჯამაგირეებიდან, ღარიბ და საშუალო გლეხებიდან. საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის პერიოდში კოლმეურნეობები, განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელი ორგანოები უნდა გაწვრთნილ იქნან კლასობრივად უცხო ელემენტებისაგან.

7. საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიის პერიოდში მიღწეული იქნას გარდატეხა ღარიბ და მოჯამაგირეთა შორის მუშაობაში, ღარიბები იქნენ ღარიბთა ჯგუფები სოციალის არჩევით ორგანოებთან და გადამჭრელი წინააღმდეგობა გაეწიოს კულაკურ-შეძლებულ და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტებს, რომლებიც შეეცდებიან საანგარიშო-საგადარჩევო კამპანია გამოიყენონ ანტი-საბჭოთა და ანტი საკოლმეურნეო მუშაობის გაძლიერების მიზნით.

8. კომპარტიისა და კომკავშირის საოლქო და რაიონულმა კომიტეტებმა და ყველა უჯრედებმა განიხილონ საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის საკითხები და დასაწონ კონკრეტული ღონისძიებები მის წარმატებით ჩასატარებლად, ჩაებან ამ საქმეში სოფლის ყველა საბჭოთა, კოოპერატიული და სხვა ორგანოები.

9. ცეკა წინადადებას იძლევა საწარმოო საფინანსო გეგმების, გაზაფხულის სახოლო - სამეურნეო კამპანიის სამუშაო პროგრამების, წლიური გეგმების შედგენა და კოლმეურნეობათა საანგარიშო - საარჩევნო კამპანიის ჩატარება დაიწყოს არა უგვიანეს 18 იანვრისა და დამთავრდეს 1932 წლის 25 თებერვლისათვის.

რაიონებში, რომელებსაც, ემსახურებიან სამანქანო - სატრაქტორო სადგურები, საწარმოო გეგმების და წლიური ანგარიშების შედგენა კოლმეურნეობებში დაეკისროს საქ. ტრაქტორკენტრის სისტემას.

10. ამ კამპანიის ჩასატარებლად წინადადება მიეცეს საქართველოს მიწაწყობს და შრომის კომისარიატს, საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად, 5 დღის ვადაში მოახდინონ თბილისში აგრონომების, ბუღალტერების, მოანგარიშეების და სახ. - სამ. ინსტატუტების მესამე კურსის სტუდენტების მობილიზაცია.

საქ. კოლმეურნეობათა ცენტრმა მიხცეს ინსტრუქტაჟი ყველა მობილიზებულებს. პარტიის რაიკომებმა საანგარიშო - საარჩევნო კამპანიის პერიოდში გადაისროლონ მთელი რაიონული აქტივი და დამატებით მოახდინონ ადგილებზე აგრონომებისა და საანგარიშო დარგის მუშაკთა საერო რაოდენობის მობილიზაცია.

11. ცეკას კადრების განაწილებამ ხუთი დღის ვადაში მოახდინოს 60 პასუხისმგებელი მუშაკის მობილიზაცია და მიამაგროს ისინი რაიონებზე კოლმეურნეობათა საანგარიშო - საარჩევნო პერიოდის განმავლობაში.

12. საქართველოს სახკომსაბჭომ გამოარკვიოს წუარო მიღებულ აგრონომების, ბუღალტერების, მოანგარიშეების, სტუდენტთა და სხვ. ხარჯების დასაფარავად.

13. საქ. კოლმეურნეობათა ცენტრმა შეადგინოს კალენდარული გეგმა კოლმეურნეობების საოლქო და რაიონული ყრილობების ჩატარებისა ამ ანგარიშით, რომ ისინი დაიწყოს 25 თებერვალს და დამთავრდეს 5 მარტამდე.

14. ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთების რედაქციებმა ფართოდ გააშუქონ კოლმეურნეობათა საანგარიშო - საარჩევნო კამპანიის მდგომარეობა.

15. 1932 წ. თებერვლის პირველ ნახევარში ცენტრ. კომიტეტში მოსმენილ იქნას მოხსენებები კოლმეურნეობათა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ.

გერმანია საპრეზიდენტო არჩევნების წინ

ამხ. ტელმანი—კომპარტიის კანდიდატი საპრეზიდენტო არჩევნებში

კომპარტია საარჩევნო ბრძოლას ატარებს „კლასი კლასის წინააღმდეგ"

ბერლინი, 13 იანვარი. გამოქვეყნდა გერმანიის კომპარტიის ცეკას შემდეგი განცხადება:

„გერმანიის კომპარტია, როგორც გერმანიის პროლეტარიატის ერთად ერთი პოლიტიკური და კლასობრივი წარმომადგენელი, მიიღებს დამოუკიდებელ მონაწილეობას გაყვლეფილ ხალხის მასების საარჩევნო ბრძოლაში. პრეზიდენტის არჩევნებს და ყველა სხვა არჩევნებს, აგრეთვე საყოველთაო კენჭის ყრას პარტია უყურებს არა როგორც პარლამენტარულ ამოცანას, არამედ როგორც პარლამენტის გარეშე ბრძოლას—„კლასი კლასის წინააღმდეგ"—შემადგენელ ნაწილს. კომპარტიას მშენივრად ესმის, რომ კაპიტალიზმის ბატონობის პირობებში ბურჟუაზიული კონსტიტუციის „თამაშის წესის" თანახმად მისთვის შეუძლებელია უმრავლესობის შეკრება თავის კანდიდატებისათვის. კომპარტია საპრეზიდენტო არჩევნებს გამოიყენებს პარტიის ორგანიზაციების გ

ვემზადოთ მე-17 საკ. პარტკონფერენციისათვის

რაიონული პარტკონფერენციები მიმდინარეობს

ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომების აღმოფხვრის, ამხ. სტალინის 6 მითითებისა და საკ. კ. პ. (ბ) ცკ-ის 31 ოქტომბრის დადგენილების მთლიანად შესრულების ლოზუნგით

გამანადგურებელი ცეცხლი ტროცკისტული კონტრაბანდისტების და დამპალი ლიბერალიზმის წინააღმდეგ

ქუთაისის მეორე საქალაქო პარტკონფერენცია

10 იანვარს გაიხსნა ქუთაისის მეორე საქალაქო პარტკონფერენცია, კონფერენცია გახსნა საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. არტ. კვირიკაძემ.

საპატიო პრეზიდიუმში მხურვალე ტაშის ცემით არჩეული იქნა ამხ. სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, კალინინი, კიროვი, რუხუტაკი, ჩუბიაშვილი, კუიბიშევი, კრუმსკაია, ტელმანი, ორახელაშვილი, ლ. ბერია, მახარაძე, პ. მელაძე, გ. ყურულაშვილი, მგალობლიშვილი, პოლონსკი, ხინჯუანი, ფედკო, და ცხაკაია.

პირველ სხდომაზე ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. არტემ კვირკაძე.

ჩატარდა რაიმორჩა რაიონის მრეწველობა

ჩვენმა მრეწველობამ,—დაიწყო თავისი მოხსენება ამხ. კვირკაძემ, ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის გეგმები დიდი დანაკლისით შესრულდა. რომ გამოიწვია ჩამორჩენა? ახლა უკვე აღარ შეიძლება ლაპარაკი კვლავ „ობიექტურ“ მიზეზებზე, არამედ გეგმების შეუსრულებლობა გამოიწვია ძველი წესით მუშაობამ, რაიონის პარტორგანიზაციამ ვერ დარიზმა მასები საწარმოო საფინანსო გეგმების შესრულებისათვის ორკეთად, მან ვერ უზრუნველჰყო ამხ. ხტალინის 6 მითითების ცხოვრებაში ნამდვილად გატარება.

ჩამორჩენა ყველაზე უფრო საგრძნობია მძიმე მრეწველობის დარგში. მაგალითად ბარიტის მაღაროებმა, რომელიც ერთ-ერთ მძლავრ წარმოებათ ითვლება ქუთაისის რაიონში წლეული გეგმა მხოლოდ 32 პროც. შეასრულა. გუმბრინის წარმოებამ—800.000 მანეთის ნაცვლად მოგება—464.000 მან. პროდუქცია. რაც გეგმის 55 პროცენტს შეადგენს. ასევე თუმცა ქირის ქარხანაზე, რომელმაც გეგმა 89 პროც. შეასრულა და აბრეშუმის ძოწისფერ ქარხანაზე, რომელმაც დაგეგმა—82,8 პროც. გაანაღდა. მსუბუქ მრეწველობის დარგში შედარებით დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვაქვს ასე მაგალითად: ფაბრიკა „მკერავმა“ თავისი საწარმოო-საფინანსო გეგმა—105 პროც. შეასრულა. ფეხსაცმელების ფაბრიკამ—150 პროც. და სხვ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქუთაისის მრეწველობამ მესამე გადამწყვეტი წლის დაგალებანი შეასრულა—68 პროცენტით.

ჩვენს საწარმოებში მუშა-ხელის ცვალებადობას მაგრად აქვს ფესვები გადგმული. საწარმოების სამკუთხედებმა ჯერ კიდევ ვერ შესძლეს გადამწყვეტი ბრძოლა, წარმოება მუშათა „მფრინავობის“ წინააღმდეგ. „მფრინავობასთან“ ბრძოლა არავითარ შედეგს არ მოგვიტანს თუ არ მოიცავთ მუშა-ხელის ცვალებადობის მიზეზებს, რა არის ეს მიზეზები?

პირველად ყოვლისა საჭიროა უდიდესი ყურადღება მიექცეს მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომ გაუმჯობესებას. ბევრ ჩვენს საწარმოში ახლად მიღებული მუშები არ არიან ბინებით უზრუნველყოფილი, მოუგვარებელია კვება, კულტურული მუშაობა, სამრეწველო საქონლით მომარაგება და სხვ. ასეთ პირობებში ჩვენმა საწარმოებმა ვერ შესძლეს შეესრულებინათ მუშა-ხელის შეგროვების გეგმა და ისინი კვლავ მუშა-ხელის დიდ დეფიციტს განიცდიან. სულ რაიონის მრეწველობაში მუშა-ხელის შეგროვების გეგმა—78 პროცენტითაა შესრულებული.

რაიონის საწარმოებში შრომის დისციპლინა არ არის განმტკიცებული. რის გამოც სამუშაო დღეები არა სპატიო მიზეზებით გაცდენის შემთხვევები იზრდება. გასულ სამეურნეო წელში ბარიტის მაღაროებში გაცდენილია სამუშაო დროის 2 პროცენტი, გუმბრინის წარმოებაში 8 პროც. და ქვასატეხ კარიერებში—23 პროცენტით.

შრომის ნაყოფიერების ზრდა არადამაკმაყოფილებელია. საქონლის მიმდინარე წელში გადავდგათ გადამჭრელი ნაბიჯი შრომის ნაყოფიერების გასაღებდნილად და შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად.

ხარისხისათვის ბრძოლა უნდა გახდეს ჩვენს ყოველდღიურ საბრძოლო ამოცანად. ამას საწარმოების ხელმძღვანელობა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ

გეგმა თითქმის არც ერთ საწარმოებს არ აქვს შესრულებული თვითღირებულების შემცირების დარგში. გასული წლის 1-ლი და მეორე კვარტალში გუმბრინის პროდუქციის თვითღირებულება გაიზარდა 27 პროცენტით, მაგრამ მეორე და მესამე კვარტალში მოხდა ნაწილობრივი გაკვატება რის შედეგად მთელი თვითღირებულების 25 პროცენტით შემცირება.

მოყვანილი ციფრები გარკვეით ლაპარაკობენ ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის გეგმით მოცემულ სამუშაოების დანაკლისით შესრულებაზე, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მოღწევები არ გვქონდეს მრეწველობის ფრონტზე. 1930 წელთან შედარებით ბარიტის წარმოება გაზრდილია 40 პროცენტით. გუმბრინის წარმოება—355 პროც., „მკერავი“-ს 465 პროც., ხე-ტყის დამზადება—9 პროც.

ასეთია ჩვენი რაიონის მრეწველობის საერთო სურათი. ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელში და კიდევ უფრო დიდია და გრანდიოზული ის ამოცანები, რომელსაც ხუთწლედის უკანასკნელი წელი უყენებს ჩვენს მრეწველობას.

ძირითად პარტორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა მოახდინონ გარკვეული თავიანთ მუშაობაში. მოახდინონ ქარხნის, საამქროების და ბრიგადების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა, მისი ნამდვილად დანერგვა. მოსპონ გაუპიროვნება და ხელფასის „მომემარცხენო“ წესი. ორგანიზაციული გათანაბრება. ურყევად გატარონ ხელფასის პროგრესიული სანორმო სისტემა, მაიფრობონ მუშათა კვების და მომარაგების ნამდვილ გაუმჯობესებას და სოც. შეჯიბრება-დამკვრელობის ფართოდ გაშლით ხელი შეუწყონ მუშათა ენტუზიაზმს საწ. საფინანსო გეგმებისათვის ბრძოლაში.

გამოვასწოროთ ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომები

საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის და საქართველოს კ.პ. (ბ) ცკ-ის ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული იყო უხეში პოლიტიკური შეცდომები, უმთავრესი შეცდომა, როგორც ეს ნათქვამია საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 31 ოქტომბრის დადგენილებაში მდგომარეობდა გლეხობის საკითხში, რამაც განსაკუთრებით თავი იჩინა კოლექტივიზაციაზე საკონტროლო ციფრების დაწესებაში, დაშრახელების დარგში“ „მემარცხენე“ ნატრომებში და სხვ. აღნიშნულმა შეცდომებმა ჰპოვა ქუთაისის რაიონშიაც. ქუთაისის ქალაქის საბჭოს **საგეგმო კომისიამ რაიონში საკოლექტივნეო მშენებლობა 1931 წლისათვის 65 პროც. განსაზღვრა.**

საქართველოს კ.პ. (ბ) ცკ-ის ძველი ხელმძღვანელობის დირექტივებით ქუთაისის რაიონში ათი სოფელი გამოცხადებული იქნა მებამბეობის სოფლებად და მიეცათ მთელი კოლექტივიზაციის, საკონტროლო ციფრი 30 პროც. რაოდენობით. ბოლოს კი გამორკვა, რომ აღნიშნული სოფლები მისდევენ მებამბეობა-მებოსტნეობას და მარცვლეული კულტურების თესვას. ასეთი უხეში პოლიტიკური შეცდომები ეხლა უკვე გამომჟავნებულია და მთელი პარტორგანიზაციის გულისყური მიმართულია იქითკენ, რომ დაკვრითი წესით აღმოიფხვრას დაშვებული შეცდომები. საჭიროა დაუნდობელი ბრძოლის გაწია მემარცხენე „მემარცხენე“ გადახრისთან პარტიის გენერალური ხაზიდან, ყოველგვარ დაკვეთებისთან „ატამანშჩინის“ ელემენტებთან და ტროცკისტულ კონტრაბანდისტებთან.

მეტი ყურადღება კოლმეურნეობათა სამეურნეო ორგანიზაციულ და პოლიტიკურ განმტკიცებას

ამჟამად რაიონში 63 კოლმეურნეობაა, რომელიც აერთიანებს—4.046 წევრს ანუ მოსახლეობის 29 პროცენტს. გასული წლის თესვის გეგმა შესრულებული იქნა: ტენიანი კულტურების—43 პროც. და სიმინდის—80 პროც. აღსანიშნავია, რომ ნათესების მოცულ ნაკლები ყურადღება ექცეოდა, რის გამოც მტლად მცირე მოსავალი მივიღეთ. კოლმეურნეობათა რაოდენობრივ ზრდასთან ერთად არ ექცეოდა ყურადღება მის სამეურნეო ორგანიზაციულ და პოლიტიკურ განმტკიცებას. რაიონში არის ისეთი კოლმეურნეობები, სადაც ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია შრომის ორგანიზაცია. სანორმო სისტემა არ არის ფაქტიურად გატარებული და სხვ.

პარტორგანიზაციების ზრდისა და განვითარების შესახებ

ხუთწლედის მეოთხე და უკანასკნელი წლის გეგმების წარმატებით განხორციელება საკ. კ.პ. (ბ) ცკ-ის 31 ოქტომბრის დადგენილების შესრულების უზრუნველყოფა ჩვენგან მოითხოვს ლენინურ დარაზმულობას პარტიული მეთოდური მთლიანობის და პარტიის გენერალური ხაზის ირგელივ მტკიცედ შემოკრებას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისის რაიონში პარტორგანიზაციის ზრდის საკითხი ვერაა მოწესრიგებული. განსაკუთრებით ნაკლები ყურადღება ექცევა პარტიაში ქალთა მიზიდვის საქმეს. მაგ.: 1931 წლის განმავლობაში პარტიაში მიღებული 739 კაცთაგან მხოლოდ 40 ქალია.

მომდინარე წლის 1-ლი იანვრიდან ამ მხრივ მუშაობა ფართოდ გაიშალა პარტიაში მიღებული იქნა დამკვრელი მუშები და მუშა-ქალები.

ასევე ითქმის კომკავშირულ ორგანიზაციის ზრდის შესახებაც. პარტიის ზრდის და მოწესრიგების საკითხი ჩვენი მუშაობის ყოველდღიურ ამოცანად უნდა გადაიქცეს.

ამხ. კ. ორაგველიძის შესახებ

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის ოქრგანიზაციის ს. ორჯონიკიძის სახ. რაიკომის ბიუროს 1932 წ. 9 იანვრის დადგენილება

1. აღინიშნოს ამხ. კ. ორაგველიძის რამდენიმეთ დაგვიანებული გამოსვლა მის მიერ ლიტერატურულ შრომებში დაშვებული მემარჯვენე ოპორტუნისტული ხასიათის ცალკე სერიოზული შეცდომების აღიარებით, ხოლო მისი 1932 წ. 5 იანვრის წერილი გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციისადმი ჩაითვალოს ძირითადათ დამაკმაყოფილებლად.

2. აღინიშნოს, რომ ამხ. დოლიძემ თავის გამოსვლაში საქართველოს სოფინანსო - ეკონომიური ინსტიტუტის ღია კრებაზე სწორად გამოაშკარავა და გააკრიტიკა ამხ. კ. ორაგველიძის ცალკე შეცდომები, მაგრამ არასწორად დასახა ისინი, როგორც მემარჯვენე ოპორტუნისტულ შეხედულებათა სისტემა; ამიტომ მისმა კრიტიკამ მიიღო პირადი დაუმსახურებელი დისკრედიტაციის ხასიათი ამხ. კ. ორაგველიძის მიმართ, რომელიც თავის პრაქტიკულ მუშაობაში იბრძოდა პარტიის გენერალური ხაზისათვის.

მიღებულ იქნას ცნობად ამხ. კ. ორაგველიძის განცხადება, რომ იგი პრესაში გამოვა თავისი შეცდომების გაშლილი კრიტიკით.

26 კომუნარების სახ. რაიკომის მდივანი ამხ. ს. ტრდატიანი

გუშინ საღამოს 6 საათზე მშრომელთა კლუბში შესდგა „26“ სახელობის რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა რაიკომის ბიუროს წევრებად აირჩია:

ამხ: **პავლე მელაძე, ს. ტრდატიანი, ე. გოგრდელაძე, ლ. ენუქიძე, სილაძე ხაჩიკიანი, შახსუვაროვი, აზიზოვი, კლევცოვი, კანტარიონი, მარზახანოვი, მაისურაძე, ჭურგულელი, მგელაშვილი, კაზაროვა, სურგულაძე და არუთინოვი.**

გამოვასწოროთ ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომები

(ზესტაფონის)

8 იანვარს გაიხსნა ზესტაფონის მეოთხე რაიონპარტკონფერენცია. კონფერენცია გახსნა რაიკომის მდივანმა ამხ. **მ. ნოროძემ.** კონფერენციის ხელმძღვანელ ორგანოების არჩევის შემდეგ, დამტკიცებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი: რაიკომის მოხსენება, სარევიზიო კომისიის ანგარიში და რაიონკონტროლო კომისიის მოხსენება.

პირველ საკითხე მოხსენებით გამოვიდა ამხ. **ნოროძე,** რომელმაც მთავარი ყურადღება მიაქცია რაიკომის ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ უხეშ პოლიტიკურ შეცდომებს ზესტაფონის რაიონში და იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიიღო რაიონული კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად.

ამხ. ნოროძის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 52 კაცმა, კამათში გამოსულნი ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ ძველი პარტიული ხელმძღვანელობის დროს რაიონში ადგილი ქონდა ღალატის სიაში შეტანას, მტკიცედ დავალებათა გეგმების ღარიბებამდე დაყვანას და სხვ. პარტიის იმ წევრებს, რომლებიც ამხელდნენ დაშვებულ შეცდომებს ხსნიდნენ სამუშაოდან და რიცხავდნენ პარტიიდან. რაც გამოწვეული იყო იმით, რომ რაიკომის ყოფილი ხელმძღვანელობა აზომავდა თვითკრიტიკას.

საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენებითი გამოვიდა ამხ. **გ. აბულაძე,** რომელმაც აღნიშნა თუ როგორ ჩაშალავდა საკონტროლო კომისიის ძველი შემადგენლობა იმ უხეშ პოლიტიკურ შეცდომებს და დამახინჯებებს, რომელსაც ადგილი ქონდა რაიონში.

კონფერენცია დამთავრდა 11 იანვარს, არჩეული იქნა რაიკომის პლენუმი. პლენუმმა რაიკომის მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. **ზ. ბოლქვაძე.**

კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ამხ. სტალინს, ს. ორჯონიკიძეს, მ. ორახელაშვილს, ლ. ბერიას და პ. მელაძეს.

ზ. ცხელიაშვილი.

ს. ორჯონიკიძის სახ. რაიკომის პლენუმი

12 იანვარს შესდგა ამხ. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა აირჩია რაიკომის ბიუროო 17 წევრისა და 4 კანდიდატის შემადგენლობით. რაიკომის ბიუროს წევრებად არჩეულნი არიან ამხ. **დ. აფციაური, გ. შელია, ს. აკოფოვი, კ. დემეტრაძე, ნ. ხვანიძე, ხ. ბუაჩიძე, მ. აზარბეკოვა, გ. რუსაძე, ნ. ვაშაკიძე, ნალბანდოვი, გოშალოვი, კვირიკაშვილი, მეტკო, კუცია, თოხაძე, გიორგაძე და გრიგორიევი.** კანდიდატებად ამხ.: **მ. ბაიჭაძე, სარქისოვი, დანიელიანი და ხარუხანოვი.**

ამხ. დ. აფციაური ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის მდივანი

ბიუროს რაიკომის მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. **დავით აფციაური,** საორგანიზაციო განყოფილების გამგედ ამხ. **გრიგოლ შელია,** კულტპროპ. განყოფილების გამგეთ ამხ. **კ. დემეტრაძე** და სხვ.

მთელი ყურადღება 1932 წლის დავალებათა შესრულებას

სახელგამის მე-2-რე სტამბის მუშებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა ლენინის დღეების ჩატარების მოსამზადებლად. ადგილობრივი პარტორგანიზაციის მთელი გულისყური მიმართულია იქითკენ, რომ გასული წლის მეოთხე კვარტალის დავალისი დაფარის და გადაჭარბებით შესრულის 5 წლეულის უკანასკნელი წლის პირველი კვარტალის დავალებები.

აღსანიშნავია ის, რომ აღნიშნული სტამბის მუშებმა 1931 წლის მეოთხე კვარტალის გეგმა მხოლოდ 79 პროც. შეასრულეს. გეგმის შესრულებაში ჩამორჩენა გამოწვეულია იმით, რომ სტამბაში თავის სიმაღლეზე არ სდგას შრომის დისციპლინა, ადგილი აქვს ხშირ გაცდენებს, სამუშაო ადგილის დაგვიანებას და სხვ. რაც მთავარია სტამბის მუშაობა ჯერ კიდევ არ არის გარდაქმნილი ამხ. სტალინის ისტორიული მითითებებით საფუძველზე. სტამბაში დღემდე კიდევ აქვს ადგილი გაუპიროვნებას, ხელფასის „მომემარცხენო“ გათანაბარების პრაქტიკას, სამეურნეო ანგარიშის არა სწორად გატარებას და სხვ.

სტამბის პარტუჯრედს დღემდე არ დაუმუშავებია ამხ. სტალინის წერილი **„ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხების შესახებ“.** განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პოლიტწრეების სუსტი მუშაობა ამ მხრით. მიუხედავათ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის და რაიონული კომიტეტების წინადადებისა პოლიტწრეები ჯერ კი დევ არ დაუმუშავებიათ ამხ. სტალინის წერილი.

სტამბაში არ არის საფუძვლიანად გარდაქმნილი პარტიულ - მასიური მუშაობა. სუსტია სამმჭროებში და ბრიგადებში პარტორგანიზატორების მუშაობა და მათზე პარტუჯრედის ხელმძღვანელობა. ამ მხრით საჭიროა პარტუჯრედის მთელი ყურადღების მობილიზაცია.

ლენინის დღეები უნდა გადავაქციოთ აღნიშნული ნაკლულოვანებების აღმოფხვრისა და მთელი სტამბის მუშაობის ამხ. სტალინის 6 მითითების საფუძველზე გარდაქმნის კამპანიად. ფართოდ უნდა გაიშალოს სოციშეჯიბრება და დამკვრელობა. პარტუჯრედმა უნდა შესძლოს მთელი პარტიული და კომკავშირული ძალების მობილიზაცია ხუთწლედის უკანასკნელი წლის დავალებათა შესასრულებლად. ლენინის დღეების ჩატარებამ იმ მხრით უნდა განამტკიცოს მიღწეული გამარჯვებები და უნდა გამოიწვიოს მუშების ახალი ენტუზიაზი 1932 წლის საწ. საფ. გეგმების შესასრულებლად. მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეესრულებენ ჩვენ მსოფლიო მუშათა კლასის ბელადის ლენინის ანდერძს.

ბრ. ესებაშა, მიხ. ჩხეიძელი.

ლენინის დღეების ჩატარებით უზრუნველყოთ ამხ. სტალინის მითითებათა შესრულება

თბილისის მთელ რიგ საწარმოებში ლენინის დღეების ჩასატარებლად სამზადისი დაიწყო, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი საწარმოებში მზადება ძალზედ ნელი ტემპებით მიმდინარეობს. მაგალითად „მკერავი“-ს მეორე ფაბრიკის პარტკოლექტივის ბიუროს ამ დღის ჩასატარებელი გეგმა ჯერ კიდევ არ შეუდგენია. ასეთივე მდგომარეობაა ქეჩის ქარხანაში, ტყავის ქარხანაში № 1-ში, ბამბის ფაბრიკაში, სპირტის ქარხანაში და სხვ.

ფეხსაცმელების ფაბრიკა № 2-ში პარტიულმა ორგანიზაციამ გაშალა მუშაობა ლენინის დღეების ჩასატარებლად, ყველა სამჭროებში ჩატარებულ და რაიონული კომიტეტის წინადადებისა პოლიტწრეები ჯერ კი დევ არ დაუმუშავებიათ ამხ. სტალინის წერილი.

სტამბაში არ არის საფუძვლიანად გარდაქმნილი პარტიულ - მასიური მუშაობა. სუსტია სამმჭროებში და ბრიგადებში პარტორგანიზატორების მუშაობა და მათზე პარტუჯრედის ხელმძღვანელობა. ამ მხრით საჭიროა პარტუჯრედის მთელი ყურადღების მობილიზაცია.

ლენინის დღეები უნდა გადავაქციოთ აღნიშნული ნაკლულოვანებების აღმოფხვრისა და მთელი სტამბის მუშაობის ამხ. სტალინის 6 მითითების საფუძველზე გარდაქმნის კამპანიად. ფართოდ უნდა გაიშალოს სოციშეჯიბრება და დამკვრელობა. პარტუჯრედმა უნდა შესძლოს მთელი პარტიული და კომკავშირული ძალების მობილიზაცია ხუთწლედის უკანასკნელი წლის დავალებათა შესასრულებლად. ლენინის დღეების ჩატარებამ იმ მხრით უნდა განამტკიცოს მიღწეული გამარჯვებები და უნდა გამოიწვიოს მუშების ახალი ენტუზიაზი 1932 წლის საწ. საფ. გეგმების შესასრულებლად. მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეესრულებენ ჩვენ მსოფლიო მუშათა კლასის ბელადის **ლენინის** ანდერძს.

ბრ. ესებაშა, მიხ. ჩხეიძელი.

ფართოდ გავშალოთ მუშაობა ლენინის დღეების ჩასატარებლად

გაზ. „კომუნისტთან“ არსებული პარტუჯრედი დროულად შეუდგა ლენინის დღეების ჩატარების წინასწარ სამზადისს.

14 იანვარს სტამბის კლუბში შესდგა დამკვრელ მუშათა შეკრება, სადაც დამუშავდა ლენინის დღეების ჩატარების გეგმა.

სტამბის დამკვრელთა კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ 15-დან 30 იანვრამდე პირველი კვარტალის პირველი თვის დარჩენილი დღეები გამოცხადებული იქნას დამკვრელ დღეებად სახელგამის მეორე სტამბის ლენინის დღეების ჩატარების გეგმა.

სტამბის პარტუჯრედის კრებამ ერთხმად დაადგინა, რომ 15-დან 30 იანვრამდე პირველი კვარტალის პირველი თვის დარჩენილი დღეები გამოცხადებული იქნას დამკვრელ დღეებად სახელგამის მეორე სტამბის ლენინის დღეების ჩატარების გეგმა.

სტამბის პარტუჯრედის დღემდე არ დაუმუშავებია ამხ. სტალინის წერილი **„ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხების შესახებ“.** განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პოლიტწრეების სუსტი მუშაობა ამ მხრით. მიუხედავათ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის და რაიონული კომიტეტების წინადადებისა პოლიტწრეები ჯერ კი დევ არ დაუმუშავებიათ ამხ. სტალინის წერილი.

სტამბაში არ არის საფუძვლიანად გარდაქმნილი პარტიულ - მასიური მუშაობა. სუსტია სამმჭროებში და ბრიგადებში პარტორგანიზატორების მუშაობა და მათზე პარტუჯრედის ხელმძღვანელობა. ამ მხრით საჭიროა პარტუჯრედის მთელი ყურადღების მობილიზაცია.

ლენინის დღეები უნდა გადავაქციოთ აღნიშნული ნაკლულოვანებების აღმოფხვრისა და მთელი სტამბის მუშაობის ამხ. სტალინის 6 მითითების საფუძველზე გარდაქმნის კამპანიად. ფართოდ უნდა გაიშალოს სოციშეჯიბრება და დამკვრელობა. პარტუჯრედმა უნდა შესძლოს მთელი პარტიული და კომკავშირული ძალების მობილიზაცია ხუთწლედის უკანასკნელი წლის დავალებათა შესასრულებლად. ლენინის დღეების ჩატარებამ იმ მხრით უნდა განამტკიცოს მიღწეული გამარჯვებები და უნდა გამოიწვიოს მუშების ახალი ენტუზიაზი 1932 წლის საწ. საფ. გეგმების შესასრულებლად. მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეესრულებენ ჩვენ მსოფლიო მუშათა კლასის ბელადის **ლენინის** ანდერძს.

ბრ. ესებაშა, მიხ. ჩხეიძელი.

ლენინის დღეების ჩატარებით უზრუნველყოთ ამხ. სტალინის მითითებათა შესრულება

თბილისის მთელ რიგ საწარმოებში ლენინის დღეების ჩასატარებლად სამზადისი დაიწყო, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი საწარმოებში მზადება ძალზედ ნელი ტემპებით მიმდინარეობს. მაგალითად „მკერავი“-ს მეორე ფაბრიკის პარტკოლექტივის ბიუროს ამ დღის ჩასატარებელი გეგმა ჯერ კიდევ არ შეუდგენია. ასეთივე მდგომარეობაა ქეჩის ქარხანაში, ტყავის ქარხანაში № 1-ში, ბამბის ფაბრიკაში, სპირტის ქარხანაში და სხვ.

ფეხსაცმელების ფაბრიკა № 2-ში პარტიულმა ორგანიზაციამ გაშალა მუშაობა ლენინის დღეების ჩასატარებლად, ყველა სამჭროებში ჩატარებულ და რაიონული კომიტეტის წინადადებისა პოლიტწრეები ჯერ კი დევ არ დაუმუშავებიათ ამხ. სტალინის წერილი.

სტამბაში არ არის საფუძვლიანად გარდაქმნილი პარტიულ - მასიური მუშაობა. სუსტია სამმჭროებში და ბრიგადებში პარტორგანიზატორების მუშაობა და მათზე პარტუჯრედის ხელმძღვანელობა. ამ მხრით საჭიროა პარტუჯრედის მთელი ყურადღების მობილიზაცია.

ლენინის დღეები უნდა გადავაქციოთ აღნიშნული ნაკლულოვანებების აღმოფხვრისა და მთელი სტამბის მუშაობის ამხ. სტალინის 6 მითითების საფუძველზე გარდაქმნის კამპანიად. ფართოდ უნდა გაიშალოს სოციშეჯიბრება და დამკვრელობა. პარტუჯრედმა უნდა შესძლოს მთელი პარტიული და კომკავშირული ძალების მობილიზაცია ხუთწლედის უკანასკნელი წლის დავალებათა შესასრულებლად. ლენინის დღეების ჩატარებამ იმ მხრით უნდა განამტკიცოს მიღწეული გამარჯვებები და უნდა გამოიწვიოს მუშების ახალი ენტუზიაზი 1932 წლის საწ. საფ. გეგმების შესასრულებლად. მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეესრულებენ ჩვენ მსოფლიო მუშათა კლასის ბელადის **ლენინის** ანდერძს.

ბრ. ესებაშა, მიხ. ჩხეიძელი.

სამეცნიერო-საგამომკვლევო მუშაობის გარდაქმნის შესახებ*)

პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებებმა და ამხ. სტალინის 6 მითითებამ ახალი ვითარებისა და ახალი სამეურნეო - პოლიტიკური ამოცანების შესახებ აამოძრავეს მუშათა კლასის ფართო ფენები და მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო - საგამომკვლევო მუშაობა დარგში ამ მხრივ გარდატეხა ჯერ კიდევ არ მომხდარა. სამეცნიერო-საგამომკვლევო მუშაობა ამიერ-კავკასიაში ხასიათდებოდა და რაოდენობითაც ჯერ ისევ ჩამორჩება წარმოების გიგანტური ზრდის ტემპებს. ჩვენი სამეცნიერო - საგამომკვლევო ინსტიტუტები სუსტად მუშაობენ, ხოლო ზოგიერთ რგოლში სრულ უმოქმედობასაც იჩენენ; არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს მუშაობა ასპირანტებთან, დაწინაურებულებთან, სუსტია კავშირი წარმოებასთან და სხვ.

ამ წერილში ჩვენ ვაყენებთ ზოგიერთ საკითხს ა.-კ. გზათა ინჟენერების ინსტიტუტის სამეცნიერო - საგამომკვლევო ინსტიტუტის მუშაობის გამოცდილებიდან.

სამეცნიერო - საგამომკვლევო ინსტიტუტის მუშაობა ორი მიმართულებით უნდა სწარმოებდეს, ესაა: ა) ასპირანტების — სამეცნიერო მუშაკების მომზადება და ბ) სამეცნიერო-საგამომკვლევო მუშაობა.

სამეცნიერო - საგამომკვლევო ინსტიტუტის მუშაობაში ყველაზე მთავარია მისი სახის და სამ. - საგამომკვლევო ინსტიტუტთან სპეციალობათა დაზუსტების საკითხი.

სამეცნიერო - საგამომკვლევო ინსტიტუტის სახე, როგორც ეს მასალებიდან სჩანს, იქმნებოდა არა საწარმოო, არამედ აკადემიური ნიშნის მიხედვით. მაგალითად, სამეცნიერო-საგამომკვლევო ინსტიტუტის სპეციალობათა შორის ჩვენ ვხედავთ ცალკე თეორიული დისციპლინების უბრალო ჩამოთვლას, როგორიცაა: სამშენებლო მექანიკა, გეოდეზია, ექსპლოატაციის თეორია და სხ. ეს იმას ნიშნავს, რომ იყო ტენდენცია ასპირანტებიდან მოემზადებიათ მხოლოდ მასწავლებლები ამ დისციპლინების დარგში უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლებისათვის. მაგრამ ტრანსპორტზე ხომ არ არის გეოდეზია, არამედ არის რკინა, ან ურელსო გზების კვლევა-ძიება, წარმოებაში არ არის საამშენებლო მექანიკა, არამედ არის საინჟენერო კონსტრუქციები (რკინა - ბეტონის, ლითონის და ხის), ბოლოს, ტრანსპორტზე არ არის ექსპლოატაციის თეორია, არამედ ადგილი აქვს რკინის და ურელსო გზების ექსპლოატაციას. გვგონია, რომ ეს ნაკლი ბევრ სამეცნიერო - საგამომკვლევო ინსტიტუტს ახასიათებს. ჩვენ წარმოებისათვის გვესაჭიროება მაღალ - კვალიფიციური სამეცნიერო მუშაკები, რომელთაც ამავე დროს შეეძლოთ სათანადო თეორიული დისციპლინების მელთაც ამავე დროს შეეძლოთ სასწავლებლებში. მაშასადამე, ასპირანტები უნდა მოვამზადოთ საწარმოო ნიშნის მიხედვით.

შემდეგი საკითხია ასპირანტებისათვის სასწავლო გეგმების და პროგრამების შემუშავება.

ასპირანტების სწავლების ორწლიანი ვადის განმავლობაში მათ უნდა მივსცეთ თეორიაც და პრაქტიკაც. ასპირანტები, როგორც წესი, უნდა იგზავნებოდნენ პირველ და მეორე შინასაკავშირო სამეცნიერო - საწარმოო მივლინებაში.

პირველი მივლინება უნდა გაგრძელდეს 5 თვეს, ხოლო მეორე — სამ თვეს, სულ ორივე მივლინება 8 თვეს. წელიწადში ასპირანტებს ძლევათ 2 თვის შვებულება. მაშასადამე, სწავლების პირველ წელიწადს ასპირანტს თეორიაში სამეცადინოდ რჩება 5 თვე, სწავლების მეორე წელს იგი თეორიაზე მეცადინეობს 7 თვეს, ხოლო პრაქტიკულად — 3 თვეს.

ამის შემდეგ საწარმოო სწავლება ყალიბდება და ასპირანტურა თავდება შრომა - დისერტაციის წარდგენით, რაზედაც ასპირანტი მთელ დროს მუშაობს. ყველაზე არსებითი საკითხია მარქსისტულ - ლენინური დიალექტიკის გატარება ასპირანტების პროგრამაში — ფიზიკურ - მათემატიკურ საგნებში, სპეციალურად შესასწავლ დისციპლინებში და სხვ. ამისათვის საჭიროა დიალექტიური მატერიალიზმის სწავლების შემოღება პირველ სასწავლო წელში და არა მეორეში, როგორც ამას ადგილი აქვს ბევრ სამეცნიერო - საგამომკვლევო ინსტიტუტში. მეორე წელში უნდა შემოვიღოთ პოლიტიკური ეკონომია საბჭოთა მეურნეობის თეორიასთან ერთად.

არსებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე უცხო ენების შესწავლას. ყველა სამეცნიერო - საგამომკვლევო ინსტიტუტებში სჭარბობს გერმანული ენის შესწავლა, ეს დიდი შეცდომაა. სასურველია, რომ ასპირანტმა იცოდეს ორი უცხო ენა — გერმანული და ინგლისური, მაგრამ რამდენადაც ჩვენ ჯერჯერობით ერთ ენას ვსწავლობთ, ენების სწავლება უნდა შემოვიღოთ სპეციალობის მიხედვით. უპირობა იქნებოდა ტრანსპორტის (რკინის გზის) სპეციალობისათვის მარტოოდენ გერმანული ენის შესწავლა, როცა ჩვენ ძირითადათ ამერიკულ ტეხნიკას ვიყენებთ ტრანსპორტის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში და სხ. ამიტომ საჭიროა გადავსინჯოთ სასწავლო გეგმები და ისინი შევადგინოთ ჩვენი წარმოების მოთხოვნების საფუძველზე.

ასპირანტების სწავლების გარდა, სამეცნიერო - საგამომკვლევო ინსტიტუტმა უნდა აწარმოოს მუშაობა დაწინაურებულ სტუდენტებთან. ამისათვის საჭიროა კათედრებთან მოეწყოს სამეცნიერო - საგამომკვლევო ინსტიტუტის უჯრედები დაწინაურებულ სწავლებისათვის, ხოლო პასუხისმგებლობა ამ მუშაობისათვის და მისი ხელმძღვანელობა დაე

დიდი რევოლიუციონერების ხსოვნას

(ქარლ ლიბკნეხტისა და როზა ლიუქსემბურგის მოკვლის 13 წლის თავი)

13 წელიწადი შესრულდა, რაც სოციალ - ფაშისტმა შეიდემან-ებერტის ბრძანებით მათ მიერ მოსყიდულმა მკვლელებმა მოჰკლეს დიადი მებრძოლები გერმანიის მუშათა განთავისუფლებისათვის ქარლ ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი. სოციალ-დემოკრატიული „ფორვერტს“ არ მოერიდა განეცხადებინა, რომ ლიბკნეხტი და ლიუქსემბურგი შეიქნენ

ქარლ ლიბკნეხტი

„ხალხის რისხვის“ მსხვერპლი და ამით შეეცადა დაეცვინწყებინა მშრომელი მასებისათვის, რომ თვით („ფორვერტს“) აშკარად ეწოდება ავი ტაციას როზას და კარლის მოკვლისათვის, აქებებდა შავრაზმელ ელემენტებს. მაგრამ ეს თეთრი ძაფებით ნაკერი სიცრუე ვერ აუხვევდა თვალს გერმანიის პროლეტარიატს, რომელმაც თავის ბელადების მოკვლაზე უპასუხა ყიჟინით „ძირს ლიბკნეხტი-ლიუქსემბურგის მკვლელები, ძირს ებერტ-შეიდემანის მთავრობა“ და გერმანიის მთელ რიგ ქალაქებში შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლება (ბავარიაში, ბრემენში და სხვ.). სოციალ - ფაშისტურ მ[illegible]ებს ახლა სრულიად მოხდილი აქვთ ყოველგვარი ნიღაბი- მუშა - რევოლიუციონერების მოკვლა, დახოცვა - ჟლეტა მათ პრაქტიკული საქმიანობის სისტემას შეადგენს. შემთხვევითი როდია, რომ პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი უჭირავს სოციალ - ფაშისტ გრუეზინსკის—გერმანელ ტრეპოვს; შემთხვევითი როდია, რომ გერმანიის მთელ რიგ ქალაქებში პოლიციის უფროსების პოსტი სოციალ - დემოკრატებს აქვს ჩაბარებული.

გერმანიისა და საერთაშორისო მუშათა კლასის მეხსიერებაში უკვდავია ლიბკნეხტისა და ლიუქსემბურგის ხსოვნა. გერმანიის პროლეტარიატი სამაგიეროს მიუზღავს მათ მკვლელებს და კაპიტალისტურ გერმანიის ნანგრევებზე ააგებს საბჭოთა სოციალისტურ გერმანიას.

*

ამ დღეს, როცა ჩვენ აღნიშნავთ ლიბკნეხტისა და ლიუქსემბურგის ხსოვნას, არ შეგვიძლია გვერდი აუხვიოთ მენშევიკურ - ტროცკისტიულ ხროვის მიერ ლიუქსემბურგის სახელის გარშემო ატეხილ ღრიანცელს და ტროცკისტულ კონტრაბანდისტების მიერ ლიუქსემბურგიანელობის იდეალიზაციის საშუალებით ჩვენს პარტიაში ბოლშევიზმისათვის უცხო შეხედულებების შემოპარვის ცდებს.

ერთის მხრივ, ლიბკნეხტისა და ლიუქსემბურგის მკვლელების პარტია—გერმანელი სოციალ - ფაშისტები სცდილობენ დაამტკიცონ, რომ რ. ლიუქსემბურგი მუდამ იყო მარცხენა-მარჯვნივ მენშევიკი და მისი თანამებრძოლობა ბოლშევიკებთან მთელ რიგ საკითხებში იყო „შემთხვევითი“ „გატაცება“, მეორეს მხრივ ბრანდლერიანელები და ტროცკისტები სცდილობენ მიჩქმალონ ლიუქსემბურგის მთელი რიგი შეცდომები და გამოიყენონ იგი ორტოდოქსალური ბოლშევიკათ.

ტროცკისტმა - კონტრაბანდისტმა სლუცკიმ ბოლშევიზმს ბრალდებად წაუყენა ის, რომ ბოლშევიკები გადაჭრით ბოლომდე არ უჭერდნენ მხარს გერმანიის მემარცხენე ს-დემოკრატებს და ამის მიზეზათ სლუცკი თვლის ბოლშევიზმის ფრაქციულ საზრებებს.

სლუცკი ცდილობს მიჩქმალოს მემარცხენეთა მთელი რიგი პრინციპიალური შეცდომები, რომლებსაც ლენინი სასტიკად ებრძოდა.

შეეძლო თუ არა რუსეთის ბოლშევიკებს, ლენინს, გადაჭრით და ბოლომდე დაეჭირათ მხარი გერმანიის მემარცხენეებისათვის, ვერ შესძლეს გადაჭრით და საბოლოოდ განთავისუფლება მენშევიკურ მემკვიდრეობისაგან და ვერ გასწყვიტეს კავშირი მენშევიზმთან?

რასაკვირველია, არა შეეძლოთ.

მიუხედავად გერმანელ მემარცხენეების და კერძოდ რ. ლიუქსემბურგის დიდი შეცდომებისა, კ. ლიბკნეხტი და რ. ლიუქსემბურგი ეკუთვნის მუშათა კლასის იმ ნაწილს, რომელიც დღეს კომინტერნის მეთაურობით იბრძვის პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებისათვის. ჩვენ უდიდეს პატივს ვსცემთ ლიბკნეხტის და ლიუქსემბურგის ხსოვნას, მაგრამ ამასთან ერთად ულმობლად უნდა ვებრძოლოთ კერძოთ რ. ლიუქსემბურგის შეცდომებში, რადგან ამ შეცდომების ულმობელი მხილება არის უცხოეთის კომპარტიების ბოლშევიზაციისა და ტროცკიზმის ნაშთების საბოლოოდ აღმოფხვრის თავდები.



როზა ლიუქსემბურგი

1918 წ. ე. ი. ოქტომბრის გადატრიალებიდან ერთი წლის შემდეგ რ. ლიუქსემბურგმა ციხეში დასწერა ბროშურა „რუსეთის რევოლიუცია“, რომელშიც კიცხავდა ბოლშევიკების აგრარულ და ნაციონალურ პოლიტიკას, დამფუძნებელი კრების გარეკვას, საარჩევნო უფლებების წართმევას შეძლებული კლასებისათვის.

როზა ლიუქსემბურგის ეს ხუხში შეცდომა ხელზე დაიხვიეს ჩვენმა მტრებმა იერიშების გასაძლიერებლად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

მაგრამ რ. ლიუქსემბურგმა ეს შეცდომა გამოასწორა იმით, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ ჩადგა პროლეტარული რევოლიუციის დროშის ქვეშ და კ. ლიბკნეხტთან ერთად მენშევიკ ჯალათების მახვილისაგან დაეცა საბჭოთა გერმანიისათვის ბრძოლაში.

შეეძლოთ თუ არა რუსეთის ბოლშევიკებს ლენინის მეთაურობით გადაჭრით და ბოლომდე დაეჭირათ მხარი გერმანიის მემარცხენეებისათვის, რომლებმაც მიუხედავად თავიანთი რევოლიუციონური მისწრაფებებისა, ვერ შესძლეს გადაჭრით და საბოლოოდ განთავისუფლება მენშევიკურ მემკვიდრეობისაგან და ვერ გასწყვიტეს კავშირი მენშევიზმთან?

რასაკვირველია, არა შეეძლოთ.

მიუხედავად გერმანელ მემარცხენეების და კერძოდ რ. ლიუქსემბურგის დიდი შეცდომებისა, კ. ლიბკნეხტი და რ. ლიუქსემბურგი ეკუთვნის მუშათა კლასის იმ ნაწილს, რომელიც დღეს კომინტერნის მეთაურობით იბრძვის პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებისათვის. ჩვენ უდიდეს პატივს ვსცემთ ლიბკნეხტის და ლიუქსემბურგის ხსოვნას, მაგრამ ამასთან ერთად ულმობლად უნდა ვებრძოლოთ კერძოთ რ. ლიუქსემბურგის შეცდომებში, რადგან ამ შეცდომების ულმობელი მხილება არის უცხოეთის კომპარტიების ბოლშევიზაციისა და ტროცკიზმის ნაშთების საბოლოოდ აღმოფხვრის თავდები.

ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე გაფყვილებული სვლის გატარების შესახებ

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის და ა.-კ: მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის 1932 წლის 5 იანვრის გაერთიანებული სხდომის დადგენილება

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი და ა.-კ: მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგია, რომელთაც მოისმინეს სატრანსპორტო ჯგუფის მოხსენება ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე და კერძოდ სამტრედიის დეპოში გაფუჭებული სვლის გატარების შესახებ, (საქ. მუშგლეხინის და სატრანსპორტო ჯგუფის მიერ ჩატარებული გამოკვლევის მასალები), აღნიშნავენ, რომ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივით გაფუჭებული სვლის მთლიანად განხორციელების გზით ორჯერ მაინც ვალის პარკის გაუმჯობესების შესახებ ა.-კ. რკინის გზებზე აქამდე არ არის შესრულებული.

დირექციისა და რაიონების მიერ წარმოდგენილი ცნობები გაფუჭებული სვლის 96-98 პროცენტით განხორციელების შესახებ, წარმოადგენენ სინამდვილის უხეშ დამახინჯებას და არსებული მდგომარეობის შესახებ პირდაპირ თვალის ახვევას.

პარტიის ძირითადი დირექტივის ასეთი, ყოველად დაუშვებელი გამრუდების შედეგად, ორთქლმავალთა პარკის სანორმო მდგომარეობა თვალსაჩინოდ გაუარესდა, რასაც მოწმობენ ავადმყოფ ორთქლმავალთა პროცენტის მაჩვენებლები. ავადმყოფ ორთქლმავალთა პროცენტი დეკემბერში გაიზარდა 22,6-მდე, დეკემბრის გათვალისწინებულ 16 პროც. და მაისზე 20,9 პროცენტის ნაცვლად. მძლავრი ხერხის ავადმყოფ ორთქლმავალთა პროცენტი გაიზარდა 59,1-მდე (ლენინაკანის დეპო).

გაიზარდა აგრეთვე გზაში ორთქლმავლების გაფუჭების შემთხვევათა პროცენტი: მაისში იყო 54 შემთხვევა, ნოემბერში კი 121.

საკ. კ პ. (ბ) ა.-კ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი და ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის კოლეგია აღნიშნავენ, რომ ამიერ-კავკასიის რკ. გზებმა არ შეასრულეს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ: სამხარეო კომიტეტის დადგენილება ხაობობის ხარჯვის მოცემულ ნორმამდე შემცირების შესახებ. ხაობობის ხარჯვის პროცენტი ისევ მაღალია, ხოლო რაიონებში ადგილი აქვს საგრძნობ გადახარჯვებს.

ზემოდმოყვანილი მაჩვენებლები მოწმობენ, რომ დირექციის და რაიონების აპარატებმა ვერ გარდაკვეთეს თავიანთი მუშაობა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოვნისის და ოქტომბრის პლენუმების დადგენილებათა საფუძველზე.

თვალის ახვევა, ადმინისტრაციის და ადგილობრივ სამკუთხედების უპასუხისმგებლობა, ცოცხალი ინსტრუქტაჟის უქონლობა და ურიცხვი ცირკულარები და ბრძანებები—აი რა ახასიათებს გაწყვეტილებული სვლის განხორციელების საქმის საერთო დაყენებას.

ა.-კ. რკ. გზების მუშაობაში ნამდვილი გარდატეხის მიღწევისათვის და გაწყვეტილებული სვლის დაუყოვნებლივ, მთლიანად განხორციელებისათვის, საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი და ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგია აღგენენ:

1. გზის დირექტორის და რაიონების უფროსთა პირადი პასუხისმგებლობით, მიღწეულ იქნას გაწყვეტილებული სვლის მთლიანად გატარება ცენტრის დირექტივების მიხედვით; დაუყოვნებლივ მოისპოს გაწყვეტილებული სვლის ჩაშლის შემთხვევები და ის პირები, რომელთაც დანაშაული მიუძღვით ჩაშლაში გადაეცეს პროკურატურას პასუხისგებაში მისაცემად.

2. გზების დირექციამ ყველა ძირითად დეპოებში გაგზავნოს სპეციალური ბრიგადები ხაზის ადმინისტრაციისათვის ინსტრუქციების მისაცემად და პრაქტიკული დახმარების გასაწევად, აღრიცხვის სწორად დაყენებისა და გაწყვეტილებული სვლის გატარების ჩაშლილი დეფექტების აღმოფხვრის საქმეში.

3. მიღებულ ა.-კ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის და ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის კოლეგიის ამ ნაწილში

ხუთწლედის უკანასკნელ წელში ვიმუშაოთ დამკვრელი ტემპებით

ბათომის ნავთის გადამმუშავებელ ქარხნებმა გადაჭარბებით შეასრულეს ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის გეგმა

აჭარისტანის მრეწველობა პირველ რიგებში

ბათომის ნავთის გადამმუშავებელმა ქარხნებმა ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის გეგმა შეასრულეს 102 პროც. გასულ წელში გადამუშავებულია 1.981.681 ტონა ნავთის პრო-ლუქტი. ამროგად, ქარხნები გამარჯვებული შეხვდენ ხუთწლედის უკანასკნელ წელს. გასულ წელში ქარხნებმა 105 პროც. შეასრულეს მთავარი პროდუქტის — ბენზინის-გამომუშავების გეგმა. ბათომის ნავთის გადამმუშავებელ ქარხნებმა საზოგადოებრივ ბუქსირზე აიყვანეს ბაქოს ამხ. სტალინის სახელობის ნავთის გადამმუშავებელი ქარხანა და დახმარების სახით, ამ ქარხნისათვის გეგმაზე ზევით დაამზადეს 1.100 ტონა ბენზინი.

ბათომის ქარხნები ჩამორჩენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების დარგში. სუფთა პროდუქციის გამომუშავების გეგმა მხოლოდ 90 პროცენტით არის შესრულებული. ეს გარემოება ავალებს ქარხნების სამკუთხედს, — ფართოდ გაშალონ ბრძოლა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ბათომის ამხ. სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკაც მეორე წელს გამარჯვებული შეხვდა ფაბრიკამ წლიური გეგმა მთლიანად შეასრულა 27 დეკემბერს. დაამზადა 305.250.000 ცალი სხვა და სხვა ხარისხის პაპიროსი.

ფაბრიკის სამკუთხედის პატაკში, რომელიც გაუგზავნეს საქ. კ. პ. (ბ) აჭარ. საოლქო კომიტეტს და აჭარ. ცაკს აღნიშნულია, რომ „ფაბრიკამ გამარჯვება მოიპოვა ამხ. სტალინის 6 მითითების ურყევად განხორციელებით". ფაბრიკამ გასულ წელში საგრძნობლად გაიუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. თამბაქოს ფაბრიკის მუშები და ადმინისტრატიულ - ტეხნკური პერსონალი იძლევიან სიტყვას, რომ 1932 წლის გეგმა, — 550.000.000 პაპიროსის დამზადება — შესრულებული იქნება გადაჭარბებით.

ტყავეულობის მრეწველობამაც (ფეხსაც. ფაბრიკა და ტყავეულობის ქარხანა) გადაჭარბებით შეასრულა 1931 წლის საწარმოო - საფინანსო გეგმა. ფეხსაცმელების და ტყავის დამზადების გეგმა შესრულებულია 102,5 პროცენტით.

აჭარისტანის იმ ფაბრიკა - ქარხნებმა, რომლებიც გაერთიანებულია აჭარ. სახ. მეურნეობის საბჭოში, ვერ შესძლეს გეგმების მთლიანად შესრულება. გეგმა ვერ შეასრულეს ქიმიურმა სათუთავამა და თუჯის ჩამომსხმელ ქარხნებმა. მათი ჩამორჩენის მთავარი მიზეზია ის, რომ აჭარ. სახ. მეურნეობის საბჭომ და ქარხნების სამკუთხედებმა დროზე არ მიიღეს ზომები ქარხნების ნედლეულით მოსამარაგებლად. ვერ გარდაჭრნეს მუშაობა ამხ. სტალინის მითითების საფუძველზე.

სათუთავამა ქარხანამ წლიური გეგმა შეასრულა მხოლოდ 60 პროც. გეგმის შეუსრულებლობა გამოიწვია ნედლეულის მიუღებლობამ. ამასთან ერთად ქარხანას ტყვარჩელის მაღაროებმა დროულად არ მოაწოდეს ქვანახშირი, რის გამო ქარხანამ რამოდენიმეჯერ შესწყვიტა მუშაობა.

დაუდევრობა ქარხნების ნედლეულით მომარაგების დარგში გამოიჩინა აგრეთვე საქ. მომარაგებამ, რომელმაც თავისი ვალდებულება ქარხნებისათვის ნედლი მასალის მიწოდების შესახებ შეასრულა მხოლოდ 10 პროცენტით.

ხუთწლედის უკანასკნელ წელში ბათომის ფაბრიკა - ქარხნებმა, უნდა გააძლიერონ მუშაობის ტემპები, რომ დაფარულ იქნეს ძველი დავალებები და მთლიანად შეასრულონ ხუთწლედი.

ე. ხ.

მიღწევების განმტკიცების გზით

(თბ. მაუდის ფაბრიკა)

თბილისის მაუდ-კომბოლის ფაბრიკამ ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის საწარმოო - საფინანსო გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. მაგრამ გეგმის ზოგიერთი მაჩვენებლების შესრულებაში ფაბრიკას აქვს გარღვევები. მაგ.: მაუდის ნართის დამზადების გეგმა შესრულებულია 87,8 პროცენტით. ხალიჩის ნართის დამზადების გეგმა შეასრულეს 81,5 პროც. და ხამი მაუდის ქსოვილი გამოუშვეს გეგმის 94,3 პროც. ფაბრიკამ მხოლოდ უკანასკნელ კვარტალში გაამეორა მუშაობა. ჩამორჩენის მიზეზი იყო მუშათა სისტემატიური ცვალებადობა და შრომის დისციპლინის სამარცხვინოდ დაცემა. პირველ კვარტალში გაცდენების რიცხვი უდრიდა — 419, მეორე კვარტალში — 355, მესამე კვარტალში — 568 და მეოთხე კვარტალში — 634 კაცდღეს. გარდა ამისა, განვლილ წელში ფაბრიკა ხშირად იდგა ნედლი მასალის ნაკლებობის გამო.

1931 წლის მეორე ნახევარში ნართის წუნი უდრიდა 23,10 პროც. კამოლის და მაუდის ხამი ქსოვილის წუნი უდრიდა 8,99 პროცენტს. წუნის გამოშვებას ხელს უწყობს დაზგების შეუკეთებლობა და მათი ხშირი დაზიანება. წუნის გამოშვებას ხელს უწყობს სინათლის ეჩონლობაც. საქსოვ სამუშროში უნდა იყოს 15 ელექტრონის სანათური, ამჟამად კი არის მხოლოდ 35. ადმინისტრაცია ამაზე თავს არ იწუხებს. მუშების ცვალებადობას ხელს უწყობს მათი მომარაგების მოუგვარებლობა, მათ არ მიუღიათ მესამე კვარტალის პროდუქტები. საქონლის განაწილება არ ხდება სწორად.

მუშების უმთავრესი ნაწილი შორეული უბნებიდან დადის, ამიტომ ხშირად იგვიანებენ სამუშაოზე, რასაც კიდევ უფრო ხელს უწყობს ტრამვაის მოძრაობის მოუწესრიგებლობა. თბილისის ალმასკომმა და ტრამვაის დირექციამ დღემდე ვერ მოათავეს დიდუბის ტრამვაის ხაზის შენებლობა. ამჟამად დიდუბის რაიონში მიმდინარეობს კანალიზაციის არხის გაყვანა, რის გამო ტრამვაის ერთი ხაზი დაკავებულია და მოძრაობა სწარმოებს ერთ ხაზზე. ამის გამო ნორმალური მიმოსვლა შეფერხებულია. აღსანიშნავია ის ალმაშფოთებელი მდგომარეობა, რომელსაც ადგილი აქვს ფაბრიკაში: ის მუშები, რამლებიც ვერ ასწრებენ სამუშაოზე დანიშნულ დროს მოსვლას მოდიან სამუშაოთ ისეთ დროს, როცა ფაბრიკის ჭიშკარი დაკეტილია. ამის გამო ქარხანაში უხდებათ საათობით ცდა. პარტ-კომკავშირული ხელმძღვანელობა ფაბრიკაში სუსტია და არ არის გაშლილი პარტ-მასიური მუშაობა.

საჭიროა მაუდის ფაბრიკის მუშაობაში არსებული ნაკლოვანების გამოსწორება, რომ ამით ფაბრიკამ შესძლოს ხუთწლედის უკანასკნელი წლის გეგმების ბოლშევიკურად შესრულება.

ვ. სააკაშვილი

ავეჯეულობის ფაბრიკა ჩამორჩა

ავეჯის ფაბრიკა 1931 წლის საწარმოო - საფინანსო გეგმის შესრულებაში სამარცხვინოდ ჩამორჩა. ადმინისტრაციის და ადგილობრივი ორგანიზაციების მოუქნელი მუშაობის გამო, ფაბრიკამ ვერ შესძლო გეგმის შესრულება. მთელი წლის განმავლობაში ფაბრიკას გეგმით გათვალისწინებული ჰქონდა 2.624.808 მან. პროდუქციის გამოშვება, ფაქტიურად გამოუშვია — 1.462.151 მან. პროდუქცია (წლიური გეგმა შესრულებულია 55 პროც.).

ფაბრიკის ასეთი სამარცხვინო გარღვევები — შედეგია ფაბრიკის ხელმძღვანელების ოპორტუნისტულ თვითმდინარეობაზე დაყრდნობის. ფაბრიკაში არ არის მუშაობა გარდაქმნილი ბელადის მითითების საფუძველზე. მოუწესრიგებელია ნედლეულის მასალის მომარაგება. ნედლი მასალის ნაკლებობის გამო ხშირად იძულებული ხდებიან შეწყვიტონ მუშაობა.

ფაბრიკაში ადგილი აქვს გაუპასრობას და მუშათა ცვალებადობას. სამეურნეო ანგარიშზე ავეჯეულობის ფაბრიკის მუშები ვერ იცნობენ. არც ერთი ბრიგადა და საამქრო არ არის გადასული სამეურნეო ანგარიშზე.

შრომის ნაყოფიერება გასულ წელში დაბალი იყო. იგი ყოველდღიურად მცირდებოდა, რასაც კიდევ უფრო უწყობდა ხელს მუშათა ცვალებადობა.

ფაბრიკაში ხარისხის გაუმჯობესებისათვის თავს არავინ იწუხებდა. დეკემბრამდე, წუნდებული პროდუქციის აღრიცხვაც კი არ სწარმოებ დეკემბერში, როცა ბაქოს პროლეტარიატის მეთაურობით დაიწყო ლაშქრობა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ფაბრიკაში ჩამოყალიბდა წუნმდებელი ბრიგადები, რომელთაც დაევალათ აწარმოონ სასტიკი კონტროლი საამქროებში პროდუქციის დამზადებაზე.

შრომის დისციპლინა არ სდგას თავის სიმაღლეზე. ადგილი აქვს სისტემატიურ გაცდენებს და დაგვიანებებს.

კ.

წარმატებით ჩავატაროთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ოცდღიური

ყმელა მუშებს, კოლმეურნეებს, სპეციალისტებს და მშრომელებს

(ლენინგრადის ქარხნების „პრასნი პუტილოვეცის", „ბ. ა. ლ. მ. ე. ვ. ი. ჩ. ი. ს." და „პრასნაია ზოიას" მუშების მიმართ თვის გამო.)

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირში წარმატებით დამთავრდა სოციალიზმის მტკიცე საფუძვლის აგება. უდიდესი მიღწევებით გადავედით სოციალისტური ხუთწლედის უკანასკნელ წელში. ამუშავდა ახალი სამრეწველო გიგანტები. სოციალისტურ სექტორს მტკიცედ უჭირავს ხელში სახალხო მეურნეობის ბერკეტები. წარმატებით მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, მარცვლეულ რაიონებში. მთლიანად კოლექტივიზაცია და ამ საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაცია ძირითადად დასრულებულია. ვეუფლებით ახალ მოწინავე ტეხნიკას. ფაბრიკა-ქარხნები, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობანი გადადან ახალ ტეხნიკურ ბაზაზე. ფილისად გაზრდილია ფართო მშრომელი მასების კულტურული დონე. ხალიჩის ნართის დამზადების გეგმა შესრულებულია 81,5 პროც. და ხამი მაუდის ქსოვილი გამოუშვეს გეგმის 94,3 პროც. ფაბრიკამ მხოლოდ უკანასკნელ კვარტალში გაამეორა მუშაობა. ჩამორჩენის მიზეზი იყო მუშათა სისტემატიური ცვალებადობა და შრომის დისციპლინის სამარცხვინოდ დაცემა. პირველ კვარტალში გაცდენების რიცხვი უდრიდა — 419, მეორე კვარტალში — 355, მესამე კვარტალში — 568 და მეოთხე კვარტალში — 634 კაცდღეს. გარდა ამისა, განვლილ წელში ფაბრიკა ხშირად იდგა ნედლი მასალის ნაკლებობის გამო.

1931 წლის მეორე ნახევარში ნართის წუნი უდრიდა 23,10 პროც. კამოლის და მაუდის ხამი ქსოვილის წუნი უდრიდა 8,99 პროცენტს. წუნის გამოშვებას ხელს უწყობს დაზგების შეუკეთებლობა და მათი ხშირი დაზიანება. წუნის გამოშვებას ხელს უწყობს სინათლის ეჩონლობაც. საქსოვ სამუშროში უნდა იყოს 15 ელექტრონის სანათური, ამჟამად კი არის მხოლოდ 35. ადმინისტრაცია ამაზე თავს არ იწუხებს. მუშების ცვალებადობას ხელს უწყობს მათი მომარაგების მოუგვარებლობა, მათ არ მიუღიათ მესამე კვარტალის პროდუქტები. საქონლის განაწილება არ ხდება სწორად.

მუშების უმთავრესი ნაწილი შორეული უბნებიდან დადის, ამიტომ ხშირად იგვიანებენ სამუშაოზე, რასაც კიდევ უფრო ხელს უწყობს ტრამვაის მოძრაობის მოუწესრიგებლობა. თბილისის ალმასკომმა და ტრამვაის დირექციამ დღემდე ვერ მოათავეს დიდუბის ტრამვაის ხაზის შენებლობა. ამჟამად დიდუბის რაიონში მიმდინარეობს კანალიზაციის არხის გაყვანა, რის გამო ტრამვაის ერთი ხაზი დაკავებულია და მოძრაობა სწარმოებს ერთ ხაზზე. ამის გამო ნორმალური მიმოსვლა შეფერხებულია. აღსანიშნავია ის ალმაშფოთებელი მდგომარეობა, რომელსაც ადგილი აქვს ფაბრიკაში: ის მუშები, რამლებიც ვერ ასწრებენ სამუშაოზე დანიშნულ დროს მოსვლას მოდიან სამუშაოთ ისეთ დროს, როცა ფაბრიკის ჭიშკარი დაკეტილია. ამის გამო ქარხანაში უხდებათ საათობით ცდა. პარტ-კომკავშირული ხელმძღვანელობა ფაბრიკაში სუსტია და არ არის გაშლილი პარტ-მასიური მუშაობა.

საჭიროა მაუდის ფაბრიკის მუშაობაში არსებული ნაკლოვანების გამოსწორება, რომ ამით ფაბრიკამ შესძლოს ხუთწლედის უკანასკნელი წლის გეგმების ბოლშევიკურად შესრულება.

ვ. სააკაშვილი

1. დეკადის განმავლობაში ქალაქად და ტრანსპორტზე და ორ დეკადის ვადაში სოფლად ჩაბმული იქნას ლიკპუნქტებში წ. ქ. ყველა უცოდინარები.

2. 20 დღის განმავლობაში ჩატარდეს კოლმეურნეთა ახალგაზრდა მებრძოლთა სახიერი მობილიზაცია მუშების, კოლმეურნეთა, ბატრაკებისა და მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრებისაგან, ლიკპუნქტებს 70 პროც. ჩამოყალიბდეს კულტარმიელთა ხელმძღვანელობით.

3. განათლების ორგანოებმა და წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო შტაბებმა ორგანიზაცია უყოს კულტარმიელთა სისტემატიურ ინსტრუქტაჟს.

4. მიღწეულ იქნას ლიკპუნქტებში მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება.

ა) საპროგრამო მასალის სრული შეთვისება, ბ) გაცდენის სრული ლიკვიდაცია, გ) პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის საუკეთესოდ მოწყობა. დ) საწარმოო პოლიტ-განათლების მოგვარება, ე) წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის მასების ბრძოლაზე.

თვითეულმა ქარხანამ, სამანქანო-სატრაქტორო სადგურმა, საბჭოთა კოლმეურნეობამ, სოფელმა და რაიონმა ოცდღიურის განმავლობაში შეამოწმოს ჩატარებული მუშაობა და ბოლშევიკურად დაარაზმოს ლენინგრადის მოწინავე ქარხნების მუშათა მოწოდების დაუყოვნებლივ განხორციელებისათვის. მოწინააღმდეგეს საზოგადო კონტროლზე აუყვანონ ჩამორჩენილი სპეციალისტები, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენ მოვსპობთ წერა-კითხვის უცოდინარობას და ამით გავამარავებთ სოციალისტურ მშენებლობის ტემპებზე ვის მებრძოლთა არშიას. წერა-კითხვის უცოდინარობის ოცდღიურის შეტევამ ამ ამოცანების შესრულებაში გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს.

საქ. პროფსაბჭო.
განათლების კომისარიატი.
საქ. ა. ლ. კ. კ. ცკშა.
კოლმეურნეობათა ცენტრი.
საქ. სბზ-ბა „წერა-კითხვა".
განგ. მუშაკთა კავშირი



ლენინგრადის გადაკეთებული ახალი ქარხანა ოსტროვო-კამენკაში

ქვანახშირის ამოღება ტყიბულში

ტყიბული, 13 იანვარი. 10 იანვარს ტყიბულის მაღაროებში მუშაობდა 943 კაცი. ამოღებულია 532 ტონა ქვანახშირი, შრომის ნაყოფიერება უდრიდა კაცდღეზე 620 კილოგრამს.

11 იანვარს ტყიბულის მაღაროებში 935 მუშის მიერ ამოღებულია 350 ტონა ქვანახშირი. შრომის ნაყოფიერება უდრიდა 412 კილოგრამს.

ვაგონების გადმოტვირთვა ფერხდება

თბილისის სადგური (საქონლის) 95 პროც. გაცსებულია ტვირთით. „სოიუზტრანს"-ი აფერხებს ვაგონების გადმოტვირთვას. 11-დან 20 დეკემბრამდე თბილისის სადგურზე მუშაობდა 32 ავტომობილი რომლებმაც გაატარეს 91 რეისი, ხოლო 21-დან 29 დეკემბრამდე 30 ავტომობილმა გაატარეს სულ 67 რეისი. ტვირთის არადამაკმაყოფილებლად გაზიდვის გამო თბილისის სადგურზე 5 იანვრისათვის დაგროვდა 138 დატვირთული ვაგონი.

ასეთივე მდგომარეობაშია ტვირთის გამოზიდის საქმე ნავთლუღში, სადაც დაგროვდა 100-მდე გადმოსატვირთავი ვაგონი.

ყველაფერი ეს ხერხიოსულ დამრღვევებს ქმნის გზათა სახალხო კომისარიატის იმ დავალების შესრულებისათვის, რომელიც ეხება ზედმეტი ვაგონების გადაზიდვას ჩრდილოეთის გზებზე პურისა და ქვანახშირის გადმოსაზიდად (ადს).

ᲐᲠᲛᲬᲘᲤᲑᲚᲘ

ლენინგრადის პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობით სოციალისტური კონკურენტების ორგანიზაცია

— 16 იანვარს, დღის 11 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბში გაიხსნება ლენინგრადის განათლების მუშაკთა კონფერენცია.

სხვადასხვა

— **დღეს, 15 იანვარს, მწერალთა სახლში** ლიტერატურული წრის გაფართოებულ სხდომაზე ივ. ენაკოლოპოვი გააკეთებს მოხსენებას თემაზე: „თბილისელი პოეტი მირზა-შაფი და მისი პლაგიატორი ბოდენშტატი". დასაწყისი სრულ 8 საათზე.

— **15 იანვარს ა. წ. სტომატ. ინსტ. შენობაში** (პლეხ. 126) საღამოს 6 საათზე დანიშნული სტომატოლოგიური სექციის სხდომა. დღის წესრიგში: 1) ექ. გაგუას ინფორმაცია კავშირში მიგლინების შესახებ, 2) უფულავას მოხსენება: ხელების მომზადება ოპერაციისათვის, 3) ბიუროს გადარჩევა, 4) მიმდინარე საკითხები.

— თბილისის საბჭოს განათლების განყოფილება სკოლებზე ერთიანი ხელმძღვანელობის უზრუნველყოფისა და სკოლის გამგეებსა და მათ მოადგილეებს შორის საერთო კვალიფიკაციის ამაღლებლად მუშაობის ჩასატარებლად ბარისებს კაბინეტს. კაბინეტი იმუშავებს ყოველ ექვსდღიურში ერთხელ, პირველი სხდომა დანიშნულია 16 იანვარს საღამოს 7 საათზე (მე-14 ს. მახარაძის ქ. № 4). მოწვეულია ბარიან გამგეები და მათი მოადგილეები.

საქ. სახ. პედინსტიტუტთან არსებულ მოსამზადებელ კურსებზე ჩარიცხულთა სია

ასათიანი გიორგი ექვთიმეს ძე, ბერიძე სეგეირიანე პავლეს ძე, ბოხაშვილი ელიზბარ ლუკას ძე, გელიკაშვილი შალვა ზაქარიას ძე, გაგლოევი ვარდენ, გოგოხიშვილი ირაიდინ ეფრემის ძე, თადართქილაძე ელენე, თოთიაძე ბაგრატ, გოცირიძე ბორის, ნიშვილი გრიგოლ, კორკოტაძე ტრიფონ, კუპრაშვილი დავით, კვაკვაძე მიტრიფონ, ლილუაშვილი გრიგოლ, ლობერიძე ვახტანგი, კომსიძე ივანე, კიკვაძე ილია, მაჭარაშვილი ნიკოლოზ, მახარაძე ალონარ, მესხიძე მიხეილი, მიქაძე ბარბალე, სამხარაძე სეგეირიანე, ფანჯაკიძე აკაკი, ქერხშვილი აკაკი, ჭარციგაძე მიხეილ, შავთვარაძე გოგი, ყიჩაშვილი დავით, ღამბაშიძე გიორგი, ჩარკვიანი ეფროსინე, ცაავა ისაკი, ცისკარიძე პავლე.

მიღებიდანვე დაიწყება ა. წ. 15 იანვარს მიღებული მსმენელები ვალდებულია გამოცხადდნენ პედ. ინსტიტუტში № 61 აუდიტორიაში მეორე სართულზე საღამოს 5 საათზე—გამოუცხადებლობა გამოიწვევს მსმენელის მეჩხიერად გარიცხვას.

საქ. სახ. პედ. ინსტიტუტის დირექციის მოადგილე და სახწავლო ნაწილის გამგე
გ. თავზარაშვილი.
მომღებ კომისიის მდივანი თ. დოლიძე.

კარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორგანიკაძის სახ. რაიკომის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება** წინადაგებას იძლევა პარტყმეებისა მორიგ ერთიან დღეს—16 იანვარს დამუშავებულ იქნას ამხ. პოსტნიშევის მიერ საქ. ალკა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე წარმოთქმული სიტყვა „კომკავშირის ახალი კადრების ბოლშევიკურად აღზრდის შესახებ" სხვადასხვა ბოლშევიკური აღზრდის შესახებ".

—:—

— **დღეს 15 იანვარს დილის 11 საათზე** ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის სექტორის (ოთახი № 21) შესდგება თათბირი ბეჭდვითი სიტყვის ტეხნიკურის ორგანიზაციის შესახებ.

სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება: ფანცხავა (განსაკ.კომი), ბაზინეიშვილი (სახელგამი),კიკნაძე, („კომუნისტი"), სობაია (რადიო-ცენტრი), გრიგორიევი (ბეჭდავთა ცენტრალური გამგეობა), ცხაკაია („მუშა").

—:—

— **საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს** სტალინის სახ. ჭუთაისის პარტსკოლის (რომელიც ამჟამად მოთავსებულია ფოთში საქართველოს კ.პ. (ბ) ფოთის რაიკომის შენობაში) კურსანტებს გამოცხადდენ არა უგვიანეს 18 იანვრისა. მეცადინეობა დაიწყება 1932 წლის 26 იანვარს, იმ ამხანაგების საქმე, რომელნიც არ გამოცხადდებიან, გადაეცემა ცენტრალურ საკონტროლო კომისიას.

—:—

— **საქართველოს კ.პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინაიკომი** წინადადებას აძლევს ყველა პოლიტსკოლებს და ხელმძღვანელებს **ერთობა პარტდღეს—16 იანვარს დაამუშაონ** მეცადინეობის დროს ამხ. პოსტიშევის სიტყვა „კომკავშირის კადრების პარჩქისტულ -ლენინური აღზრდის შესახებ". მასალები—გაზეთ „კომუნისტი"-ს 10 იანვრის ნომერში და „ზარია ვოსტოკა"-ს 4 იანვრის ნომერში.

— **15 იანვარს საღამოს 8 საათზე** შესდგება მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ა. ღ. ც. კ. უფროსის მორიგი კრება, დასწრება წევრთათვის სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

— **იაკობ ჯაბადონის ძე ანთიძეს, ანდრონიკა ოღანეზოვს და არმენაკ ასლანოვს** წინადადება ეძლევათ გამოცხადდენ სახ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში (რუსთაველის პროსპ. № 24, ოთახი № 6).

—:—

— **ამიერ-კავკასიის ს. მ. ი. კ. პ. (ბ) ბ. კ-ს** სხდომა შესდგება 15 იანვარს დღის 12 საათზე დასწრება აუცილებელია.

15 იანვარს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია ს. ორჯონიკიძის სახელობის სარაიონო საკონტროლო კომისიის პლენუმი —ქვემოდ ჩამოთვლილი რაიონული საკონტროლო კომისიის წევრების დასწრება სავალდებულოა.

ლომიძე ს. (სარ. საქ. კომ.), კანდარელი (სარ. საქ. კომ.), შაბანოვი (საქ. მიწ. სახ.), სახაბეტოვი (ტელასი), პაპინსკი (ა.-ჯ. სახტრაქტორო ცენტ.), ოსტაპენკო (ლიტოგრაფია), კვირაკაძე (სტამბა ზ. ვ.). ელენინი (სტამბა ზ. ვ.), ზტეპა (პოლიტ. სამარ.), შუშანია (შედ. ინსტ.), გვიჩია (საქ. ჩაი), ლელუაშვილი (ამრეშუმის ქარხ.), ცერცვაძე (სას. სამ. ინსტ.), ფრანგულიანი (სამკ. კომისია), ფრუიძე (ტფ. აღმასკ.), დოლიძე (უზენაესი სას.), დათუაშვილი (ქალ. მილიცია), ზალიანი (კავშ. გაბ.), არეშიძე (საქ. მრავ. ვაჭ.), ვარძთანავი (აგურის ქარხ.), საფრონოვი (სოიუზმიასო), გურჯიანაშვილი (ა.-ჯ. სამ. კომ.), ვართაპეტოვი (ცილ. კომ.), გულაშვილი (ორჯ. სახ. რაკ.), გოგია (ა.-ჯ. კომ. უპივ.), შერადოვი (ა.-ჯ. ფინ. კურ.), კარგარეთელი (ტფ. აღმასკ.), ბარამიძე (მარქსიზმ ლენინიზმ. ინსტ.), არუთინოვი (აბრეშუმ. ტრესტი), კარაპეტოვი (ა.-ჯ. სამ. კომიტ.), კუხალეიშვილი სევა (სამტრესტი).

საბჭ. ოკეანე — 15 იან. 5 ან 8 წ. ცარის გულგა — 16 იან. 14 ან. 6 წ. 5 ჯ. პეჩკოვსკის მონაწ. 1. ჯაგვაზები 2. ყიჩაათა ბანაკი — 17 იანვ 1 ან 8 წ. დაისი
ორშაბ. 18 იანვ. დილის მე-2 წარმოდ. კუზიანი კვიცი ბილ. იყიდება. აბონენტები, რომელთაც არ გადაუხდიათ 15 წარმოდგენიანი აბონემენტის მე-6 შესატანი და 10 წარმოდგენიანი აბონემენტის მე 5 შესატანი წარმოდგენაზე არ იქნებიან დაშვებულნი. შესატანი მიიღება ყოველდღე 11-დან 2-მდე და 6—8 საათამდე. ნ. 143
ბმოვანი კინო ოქტომბერი (ყ.-აბოლო) სეან. 12.2,4,6-30,8-30,10-30.
დადგმის უკანასკნელი დღეები მხატვრ. ფილმი ახალი ცხოვრებისაკენ
საღამოს კინო ხპარაკი სეან. დას. 6. 7-30. 9. 10-30.
კინო დინამკრელი (ყოფ პალასი) სეან. დას. 6. 7-30. 9, 10-30.
პროგრ. გარეშე—უბადრუკი ორატორი
დღის კინო ხპარაკი სეან. დას. 12, 1-30, 3 ს.
მხატვრული სურათი ქალუკი ქორქის ბენეფისი
ჩ ლიუბლებზარ. სახ (ყოფ მინინი) სეან. დას. 6-30, 8. 9-30, 11.
ახალი მხატვრული სურათი მირაგო
კინო დარბაზი სეან. დას. 6, 7-30. 9. 10-30.
მის მენდ პირველი სერია.
სახ. ცირკი დაიწყ. 8 15 ს. ბალანსი ზიბაროვსკები | აკრობატები ბურთებზე ლეონ ტ პიეფო | ექვილიბრისტი რ. ჩინი | რეგოლები დელვარს | გუტკას. ადამ. ხპეციკ
ტ. 142
ინჟენერ - ტექნიკოსთა დასარეგ. განმანაწილებელი
აცხადებს, რომ სპეციალისტების მიმაგრება იწარმოებს 20 იანვრამდის, რის შემდეგ მიმაგრება არ იწარმოებს. 419
ეძიმი ქ.თ. ცხვედლაშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფ. მიღება (სიფ. ენერიული, კანის ტ შარდის სასქესო ორგ. სნეულებანი) ბელგიის ქ. № 1 დილ. 8½—9 საღ. 7—8 77836 13—12.
ეძიმი ქ. ვ. ჯაბადარი
ავადმყოფ. მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებ.) სიფილისი შეშხაპნება „914", ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა მამაკაცთა მიღება დილ. 8-9 ს. საღ. 6-9 ს. ქალების და ბავშვების მიღება 5-6 ს., მისამართი: ქალის ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ. კარლ-მარქსის მოედანის მახლობლად. ნ. 4828 25—10
ეძიმი ა. ვ. ჭელიძე
ავადმყოფ. მიღება (სიფ. ენერიული სნეულებ.) ქალების ფ სახსრების სნეულებანი. მიღ. დილით 9—12 ს. საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის გამზ. № 116, სასტუმრო „ევროპა"-ს პირდაპირ, ტელ. 12—67. 25—16 8004
ეძიმი ა. ი. ანდრეევა
დაბრუნდა
შინაგანი სნეულებანი. სპეც. ჯირკვლების ფ სახსრების სნეულებანი.
ავადმყოფ. მიღება 6-7 ს. ელბაქიძის დაღმ. 29. (ყ. ვერის ხიდთან) 25—11 9018
ეძიმი გ. ნ. ონანოვი
ხიფილ., ვენერიული და კანის სნეულებანი. ხქესობრ სისუსტ. მკურნალობა.
ავადმყოფთა მიღ. დილ. 6—11 ს. საღ. 5-8 ს.
ნინოშვილის ქ. (ყ. ალექსანდროვის) № 5. 25—12 8198
ეძიმი ა. ი. კეკელია
სიფილისი, კანის და ვენერიული სნეულება.
მიღ. დილით 9—12 ს. საღამოს 6—7 ს. პლეხანოვის გამზ. № 116, სასტუმრო „ევროპა"-ს პირდაპირ, ტელ. 12—67. 25—16 8004
ეძიმი ს. ა. დიშელი
დაამთავრა პარიზის და ბერლინ ის ტიტუტები
საბის სილაბაზის მოვლა
რადიკალურად სპობს საბის ყოველგვ. დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, მუწუკებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას, ეკზემას, აქერცლას, თმის გაცვენას, ქერტს და სხვ. ძველაძის ქ. № 22. 13—3 5464
ეძიმი ა. ვ. მიქავრიძე
პარიზში 1923 წ. დამთ. „სილაბაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის,კანის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრო. ორთქ. ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავად.
ძველაძის ქ. (ყოფ. საპიროს) 19, იღებს დილით 10—3 ს. და საღ. 6—8 ს. შესასვლ. ძველაძის შესახვევიდან. 25—1
ეძიმი გ. ა. ასვერდოვი
სიფილისის, ვენერიულ ტ ხაშარდ ხახქესო სნეულებათა სპეციალისტი
ავადმყოფების მიღება დილ. 9—12 ს. და საღ. 6—9 ს. პლეხანოვის პრ. № 7, შესავალი კუთხიდან, ნარიყალას ქ. № 1. 25—23
ეძიმი ნ. კრუხმალიძე
თმის მკურნალობა ტ სამკურნალო კოსმეტიკა
ქირტისკის ქ- № 9. (ყ. პეტრე დიდის, ქ.) თმის ფერის შეჰამელას. ჭიორფლის, შეჭიპის, ნაოჭის ტ სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა ტ საშუალებების გამოყენება მიღ. 12—3 ს. და 6—8 ს. 8179 25—18
ეძიმი ქ. ი. ბერიშვილი
ვენერიული საშარდე-სასქესო ორგანოების. სიფილ.და კანის ავადმყოფ. დილ.—1 ს საღ. 5—8. ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყ. „ნოე"-ს პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახ. № 3. 25—22
კბილის ეძიმი
დ. ს. რიჭკანაშვილი
კბილის და პირის სნეულებათა შეურნალ. პლომბები. კბილების უმტკივნეულოდ ამოღება. ყოველგვარი ხელოვნ. კბილების ჩასმა. ავადმყოფ. მიღება: 10—3ს. და 5—7 ს. მისამარ.: გრიბოედოვის ქ. № 34, რუსთაველის გამზ. კუთხე 25—13 801
დამწუხრებული გრიშა, პავლე, ვიქტორი, მიხაკო, სონა ლ და ხარაძეები თავიანთი ცოლ შვილით და სიძე ზედანია იუწყებიან ძვირფას
ვასო ხარაძის
უდროოდ გარდაცვალებას. 385
თავხარდაცემულნი თამარა გრიგ. ჩიკ ხარაძისა ლაურათი სოფიო და ივანე გობეჩია იუწყებიან მათთვის დაუვიწყარი მეუღლე, მამა და სიძე
ვასილი ხარაძეს
გარდაცვალებ.ს. გამოსვენება დღეს, 4 საათზე სა ვადმყოფოდან (ყოფ. ალექსანდროვის).
დამწუხრებული ია გობეჩია და იური ბებინეიშვილი პატარა ჯემილით აუწყებენ ხაცრობებს და მეგობრებს, რომ დაკარგეს მარად დაუვიწყარი სიძე და საყვარელი მეგობარი
ვასილი ხარაძე 384
სერგო ანანია, სიმონ თავიანთ ოჯახობით, ყოფილ ჯობავა ოჯახობით, ფილიპე ჩოჩია ოჯახობით იუწყებიან
ალექსი სიმონის-ძე ქაბარაძეს
გარდაცვალებას დაკრძალვა დ. აბაშაში 16 იანვარს. 422
ალექსანდრე, თამარა, ზალვა ჯობავა, ნათელა, გოგოშა ჩოჩიები, ნინა, სუსანა, გუგური,